

გაზეთის ღირებულება:

მაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	მაგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საოცე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საქონლ-მოწყობა მიიღება

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭდვის სახ-
ლობაში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღწერი: ВЪ Тифлисъ. ВЪ
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ვნებებდა. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრისის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

რედაქცია უმოკრჩილესად სთხოვს „დროებას“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი:—წიგნი აკაკი წერეთელთან. — პოლიტიკა: ანგლია. შრანცია. იტალია.-ტელეგრაფები.—წარსული და მიმავალი ინგილოგების ცხოვრება.—სხვა და სხვა ამბავი: რიცივი რომის სამელოპელოში მცხოვრებთა. ანგლიის ცივილიზაცია რა მიზეზისა გამო დგას ასე მაღლა?—საბიბლიოგრაფიო ცნობა.

წიგნი

აკაკი წერეთელთან.
გამოუთქმელის სიამოვნებით, მე დავასრულე კითხვა თქვენმიერ აღწერილის, მუთათისის გუბერნიის წინამძღომელის სადილისა, (*) რომელმან დაატკბო გონება ჩემი უტკბეს უზა-ღა შაქრისა. აი რათა, მოწყალეო ხელმწიფე.
(*) დროების № 43 არის დაბეჭდილი აღწერა სადილისა იმერთა და მეგრელთა შერთების გამო და სხვანი.

განცხადება

გაზეთის „დროებას“ გამომცემისათვის

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

ეს არი წელი, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძობას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტაოდნად დრტინავდა: თუ გამოცეროდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართულენოვანი ენათრებობად და თუ ქართული ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ენათრებობად. ამისთანა მოვლენა ცხადად ამტკიცებს იმას, რომ საზოგადოება ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რადენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლად საქიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადოების დრტინებას მხოლოდ დრო განაქარებს. „დროებას“ ნაკლებევენება ეს კი არა; უფრო სხვა იყო. ის ვერ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრავალს გვარს ცელილებებსა და საქმეებსა; და როგორც რიგია; იმდენად ვერ ჰხსნიდა, ვერ აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი რა იყო უმთავრესი ნაკლებევენება „დროებას“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განმავლობაში ბატონ-ყმობით დამოკიდებულება გაუქმდა; სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ; და სამსჯავრო ცელილებაც; ეს არის, კარზე მოგედგომია და კარგი სამართლის შემოტანით უნდა დაავიგინოს ბატონ-ყმობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფლო სკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრეს ცელილებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნენ. შოველს იმთავან თავისი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. შევლა ეს დიდა და მომპრო ცელილებები აღრე თუ გვიან სრულად შესცელიან ჩვენის ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამისთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრეკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. გაზეთიც რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის; როდესაც ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლენების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე. ამ მოვლენების ერცლად ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რედაქცია მანც, შეძლებისა მებრ; ვცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოვეცხადოთ „დროებას“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემავსა სამსჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი სამსჯავრო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოსაწერი ღირებულება:

მაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კ. 2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამ. სტამბაში; ხანის ქუჩაზე, ბეჭდვის სახლობაში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ აღრესით: ВЪ Тифлисъ. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ოდეს მქონდა მე ბედნიერება სამეგრელოში მიმოსვლისა, ყოველი მასპინძელი ჩემი, ჩვეულებრივის სტუმართ მოყვარეობით მიმიღებდა მხიარულად და შემეწოდინა ჩემდამო მონდობილის, ჩვენგან დაუფიქვარის აკადემიკის, უფლის ბროსეტისაგან არხეოლოგიურის ცნობის შეკრებას; მაშინ ვბოვე მე იქ წარწერა ესე:

(**) „მტლნო ლეთისანო, საყდრო საშინელო, ცეცხლო სულად სიტყვითა კაცთა მეოხად შექმნილო, ბრძანებითა წამისყოფითა მორტყმულნო, მიქაილ ძალით მთავარნო, ბაბრიელ ქალწულისა ხარებითა კაცთა ლეთისა, თქტუნ, რომელნი წამისყოფითა ლეთისა ბრძანებასა, უხილავად ძლიერებითა უმჯობესსა განაგებთ, რომელნი სცაით ცასა და ქესყანასა ფრთითა თქტუნითა. ხოლო აწმეცა მაჩრდილეთ მეოხება თქტუნო, მე ლადინასა ლევანს მთავარანგელოზ მიქაილ და ბაბრიელ, სახელითა ლეთისათა და ძალითა და შეწვევითა შენითა. ჩტუნ, ხელმწიფემან ლადინამა პატრონმა ლევან გაველაშქრენით მეფესა პლექსანდრესა და მის ძმას მამუკაზედა და მივედით მუთათის ციხის საბრძოლად. თავად მეფე, სრულიმერელნი და სვანი ლეტებელნი და სფარ ფაშისა მეთოფეები ბევრი ახლდა და ციხესა და ჯებრებშიდან იდგენ. ჩტუნ მივედით და სოფია წმიდის საყდარნი მეთოფეებით ავესო და გავმარებინა. შუაგით დამით იკოში და საყდარი წავართეთ. რაცა მეომარი მეთოფეები იდგა ყველა გამოვასხით. ჯებირ გართორი დიდი ქვის პალატი იყო ძველიდგან ნაშენები და ის მეთოფეთა და მეომრის კაცით ავესო და გავმარებინა. სოფია წმიდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქილამა დაუწყეთ სროლა და ცემა იმ ქვის სახლებსა და დაემატერეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი შიგმდგომნი დაეხოცნით. მერე იერიში უყავით და იქით მეფემ გამოაშველა ლაშქარი. ლაშქარის ერთმანეთსა თოფეთა სროლა და საკვირველი რამი შექცა. მრავალი კაცი დაიხოცა იქითაცა და აქითაცა. იქით მოკვდა თავადი და აზნაურის შვილი: ბიორგი ლორთქიფანიძე, მლიზბარ, ლოლაძე, არი ძმა ახულებიანი და ძვირკვე; სხვა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა, და წავართეთ ის ქვის პალატები; ციხეზედან ზარბაზნები ვერ მიუტანეთ, მისატანი ადგილი არა გვექონდა. ჩამოვედით დაბლა, რიონის პირს დაესდეთ. სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებით სროლა და ცემა. დავამტერეთ ის ახალი ქვის პალატი, თვით პლექსანდრე მეფისაგან აშენებული. ბაუსივეთ ლაშქარი გაღმა

მუთათისის ქალაქსა დაეწიეთ და მოვაოხრეთ. მრავალი იზოვეს და წამოვედით გამარჯვებულნი. მოვედით მდინარე, ძიგურს და ერთი კვირე არ გამოსულა, ისევე უქენით ბლოღარო, ცხენის წყალს შემოვიღამეთ. ის ღამე ვიბრეთ და გათენების დროს დავესწით სასახლესა და ქალაქს. უწინდლისაგან ოთხი და ხუთი ზომა საზოგადოებრივი და ტყვეები ვიზოვეთ, რომ ლაშქარი ძლიერ დაერივა და წამოვედით გამარჯვებულნი; შევესვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გაველაშქრენით იმერეთზედ თვესა თებერვალსა და მივედით აჯამეთს. დავეწიეთ და ავაოხრეთ. მივედით ჩხარის ქალაქსა და იქ დავედეთ, და სოფლები დასწევს და ააოხრეს. სქანდა სასახლე დაეწიეთ მარდის-გორა და ჩიხორი, ქალაქი დაეწიეთ ავაოხრეთ. ბრვეთ ლორთქიფანიძის სასახლეს დაესდეთ და იქი დაღმა ჩტუნმა ლაშქარმა სრული ბრვეთი და შალა ტყეს, სასახლე და სოფლები იყო დაუწვავი და აუოხრებელი არა დაადგურა. იქით დაღმან ავიყარენით და მეთოფოლს და ბოფანთონს მხედის სასახლეს დაესდეთ. და იქი დაღმა, სადაც ლაშქარი მიუწევდა, დაუწვავი და აუოხრებელი არა დაადგურა. წამოვედით გამარჯვებულნი და წავიზოვეთ საესე, რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს. ბალახოვანზე რიონს გამოვედით და მუთათის ციხი-დაღმა მეფე და სრული იმერელი ლაშქარი შეყრილი თვლით გვიმხერდნენ, მისის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ხედავდა. იმდენი ნაზოგარის ტყვეების ქლივილი ყურით ესმოდა. მაგრამ ციხიდაღმა თავი არ გამოვეს და ვერცა დაგვაკლეს. ასრე და წამოვედით მდინარე გამარჯვებულნი. მას ქამსა, ოდეს მოვაქედნეთ ხატი ესე, ოდეს იმერეთი-დაღმა მოვედით გამარჯვებულნი გამოვზანეთ და დაეასვენეთ ტაძარსა შენსა მხტრელსა და ალაგსა და თემსა მცურსა. ხატი ესე მთავარანგელოზისა ქორონიკონსა სამას ოცდაათოთხმეტსა. (1646 წ.)“

სამაგიეროს ამის იმერნი, რასაკვირველია გარდაუხდინდნენ მეგრელთა ერთი ორად, ამისთვის წარსულის დროების გამოთქმას მე აღარ განვაგრძობდებ გულის საწევად; ხოლო მომავალს ვინატრი სამარადისოდ ბედნიერს კავშირს იმერთა და მეგრელთა შორის, თქვენდამი გულით და სულით შემსქეველნი ღმირთი მელენი ეთხუესოვი.

18 ნოემბერს 1867 წ. ტფილისით.

პოლიტიკა.

ანგლია. ლონდონის გაზეთში „Temps“ სწერენ 4 ნოემბერს: ანგლიელები ახდებენ სექტემბრის კონვენციას, სძობავენ ფრანცუზებს ჩივიტა-პეკიაში გაღმარებისათვის და უფ. მუტიცს უკანასკნელს ნოტას. ისინი ფიქრობენ, რომ შრანციამ ეს საქმე იტალიის დამცირებისათვის მოიქმედებო. უფ. მუტიცს ნოტას ადარებენ გენერლისა-მენაბრეს ცირკულართან და ამბობენ, რომ ეს ნოტა ძალადობისა არისო, ფრანცუზები თავის შემძლებლობაზედ დარწმუნებულნი არიან იტალიის მმართველობას მოჰყავს თავისი საბუთები შრანციის მმართველობა.

რომ მე მაგის გამოკვლევა და შეტყობა არა მწადსო. შეველა ანგლიელი იმას ფიქრობს, რომ ეს ასეთი მახვილი ჩვენებით პასუხის ძლიერა რასა ნიშნავსო. ანგლია გავკვირვებულნი, და ძლიერად ჯავრობს იმაზედ, რომ იტალიელებს უშლიან თავიანთ დედა ქალაქთან დაახლოვებას, და ფრანკულელებს კი უბრძანებენ იქ შესვლას: Times-მა გონივრულათ სთქვა, რომ იმ ხალხის მხრივ, რომელსაც მომეტებული შეძლება აქვს, თავის სუსტის მეზობლის დაჩაგრვა ძლიერ დიდსულოვანება არ არისო. მაშეთი Daily-Neus იმელოვნებს, რომ ანგლია ყურს არ მოიყრუებს და მორიგან სერიის ტექნიკას არ დაუწყებს იტალიას, რომელიც გამაყვებელი პროტექტორის მეტის მეტათ მიძიმე საქმის შეკვეთით ძალიდგან იცლებს. მრფის სიტყვით ყველა ანგლიის გაზრთებთ უფ. მუტუეს უკანასკნელი ნოტისაგან უკმაყოფილო არიან და თავიანთს უკმაყოფილებასაც სრულებით არ მალავენ.

შრანცი. Le Temps-ში დაბეჭდილია ერთი ბარათი, სადაც აღწერილია მონმარტორის სასაფლაოზედ 2 ნოემბერს კაცების დატუსადება გამოჩენილის რესპუბლიკელის ლოტფრიდ ქავენიაკის საფლავის ყვევილებით მოფენის დროს როგორც ამტყიცებენ ამ ბარათზედ ხელის მომწერელნი: სხვათა შორის უფ. შრედერის მოჩენი, მტიენ პრაგო და ლოცო, ათი თუთორმეტი კაცი, ქავენიაკის საფლავთან მდგომნი, ყოვლის უმიზნოთ დაიქრეს და ცხენში წაასხეს. იმათი დაქერა ანიშნა ერთმა უფლაშა, რომელსაც გულზედ ორდენი ეკიდა. ამ დაქერებში ირიგენ რამდენიმე ლიტერატორები, სხვათა შორის უფ. ლერმინი, გაზეთის ძორსარის თავი რემ დაქტორი, უფ. მიკტიარ ნოარი Journal de Paris-ის თანა შემწე და სხვანი.

იტალია. რომი 22 ოქტომბერს (მ. ნოემბერს). საკვირველია, რომ ორი შესანიშნავი ამბავი ერთსა და იმავე დღეს მოხდა: რადღესაც ერთის წლის წინათ გენერალი მონტეველო ებარგებოდა შრანციის ჯარით რომიდგან მასაფლავდა, ამჟამად დღეს ამწელს ახალი ფრანკულის კარაბუსი შემოვიდა ჩიენი ტა-ვეკიაში პაპის დასაფარად. რომაელები ამბობენ, ისიც ცუდი ნიშანია, რომ ფრანკულის ფლოტი შემოსესნებულთა ჯარით დატყირთული ორ დღეს ზღვაში იდგა და ქარეზღლის გამოჩვევრ შემოსულთა ჩიენი ტა-ვეკიაში ამ უკანასკნელს დღეებში ჩიენი ტა-ვეკიადგან სამი პაღლი რომს მიავიდა. ამ ჯარის მოსვლის შემდეგ რომი კიდევ უფრო შეიზღუდა, რადგან ხელახლად ელიან მღელვარებას; ერთგან თოფიც გავარდა და შენიშნეს, რომ ის გენერალს პოლაკზე იყო დამიზნებული. შრანციის ზუავებს მდგომარეობა გასახარი არ არის; იმისთვის რომ რომის ახალ-გაზრდა ძალიან უბედვრის იმით. მინ იცის, როდის და რა რიგად დაწყნარდება ეს მხარე. მაგრამ ძაბიტოლისა მინც ყველანი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ. დიდი შესავალის კარები ასეთი მაგრად არის ჯარით გაკავებული, რომ ჯერ იმისთანას არაინ მოსწრებია. ტარპის კლდის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ კაპიტოლიიდან გამოსვლა; ჯერ არც ერთი ბარიკადი არ აუღიათ.

დემონსტრაცია შლორენციისში. 23 ოქტომბრიდან გაზეთს „იტალიაში“ იწერებია: „მუშინ დილით ადრე ქუჩებზე იყო მიკრული აფრთხილები, რომელთადაც ეწერა: „იტალიელებო! რომში გუშინ საღამოს ბრძოლა დაიწყო. დღეს 11-ს საათზე სინიორისს მიედანზე ხალხი დაბარებულია შესაყრელად.“

თუმცა წვიმა იყო, მაგრამ ამ მოწოდებაში მინც ძალიან ბევრი ხალხი შეკვარა. შერიდის შუაგულზე აღმართეს სამფროვანი დროშა და დიდი გროვა ხალხისა გარშემორტყმოდა; მთერთეტი სათი სრული იყო, როცა ხმა გა-

ხდა „დღევანდელ იყოს რომი, სატანტო ქალაქი იტალიისა! უცხო ქვეყნელების გარევა ჩვენ შინაურს საქმეში არ გვინდა! დღევანდელ იყოს ბარიბალი ძაბიტოლიაში!“ ამას შემდეგ ხალხი წაიდა რიხარდის სასახლისკენ და წინ დროშა მიჰქონდა; ვინც კი გზაზე შეხვდა, ყველა აედევნა. იმავე დროს სინიორისს მიედანზე ორი დასტა ჯარი გამოჩნდა; მრგანაც ლონიერად გამაგრეს, დანარჩენი ჯარი რიხარდის სასახლისკენ წაიდა. ამ დროს ხალხი ჰყვიროდა „დღევანდელ იყოს იტალიის მხედრობა!“ მათი დასტა ჯარისა ჩუხაფრა სასახლის ეზოში, დანარჩენი ნაწილი კი დემონსტრირა ბარის ქუჩაზე. ხალხი დადგა ქავერის ქუჩაზე და უწინდულათ ჰყვიროდა: „დღევანდელ იყოს იტალიის მხედრობა!“ რჩენის პრეზიდენტთან (თავს მჯდომარესთან) გაგზავნეს თავი კაცები ადრესის გადასაცემით, რომელთა შორის ხალხი ითხოვდა, რომ პრეზიდენტს რომი იტალიის სატანტო ქალაქად გამოეცხადებინა. მინამ მოკეტულები არ მოაბრუნდნენ, ხალხი ჩუმით იყო. მაგზავნილმა კაცებმა მინისტრიდან მოიტანეს ეს ამბავი: „მინისტრმა სთქვაო მმართველობა ყურადღებას მიაქცევს ხალხის სურვილს და მთავრობის გაზეთში საღამოს დეკლარაციას დაბეჭდავსო.“

თუმცა ხალხმა ეს პასუხი გულგრილად მიიღო, მაგრამ მინც არა უთქვამს რა. ამას შემდეგ ხალხი სანტა-მარია-ნოველლას მიედანზე წაიდა და იქ დადგა ერთ სახლის წინ, სადაც ბარიბალი იდგა. მოტა ხანს შემდეგ ბარიბალი ბალკონზე გამოვიდა, როგორც კი დანახეს, ერთი ხმით დაიყვირეს (ბრავო) და ქუდი მოიხადეს. ბარიბალიმ სთხოვა ხალხს ქუდი დაეხურათ, ხალხმაც თავის მხრით დაუყვირა, „გენერალი თქვენც ქუდი დაიხურეთო.“ მერე ბარიბალიმ დაუწყო ხალხს ლაპარაკი: „იტალიელებო! მე ისევ თქვენ შორისა ვარ; მე მოველი, რომ ჩემი ღონე თქვენ ღონეს დაეძინო და ერთად შევასრულოთ სამშობლოს გამოსახვა. იმით უნდა დაეუმტყიოთ მთელს ქვეყანას, რომ სხენის მხრებზე დადგან ჩვენთვის საქმე არ არის. ხალხი და მხედრობა მალე შეეღონ რომის მიწაში, რომელსაც უცხო ტომის მარჯვენა ეს ამდენი ხნად უმუხრალეობად სჩაგრავდა.“

ჩემი მხრით პატიოსანს სიტყვას გაძღვეთ, რომ ჩემს მოვალეობას მინამ არ ავასრულებ, არ მოვეშვები. ახლა ვათავებ თქვენ თან ლაპარაკს და მოგაგონებთ, რომ თქვენი ძმები ახლა პაპის ჯართან იბრძვიან რომის ნიდაგეზე. არ დაიფიქროთ ესა. აწ მშვიდობით მამაკო ხალხი, ხალხი დიდი სიხარულით მიეგება. მოტა ხანს შემდეგ ბარიბალი სახლში შევიდა და ხალხი ისე დაიშალა, რომ უწესობა არა მოუხდენია.

პიემონტის გაზეთში დაბეჭდილია შემდგომი პროკლამაცია, ბარიბალისაგან გამოცემული — პროკლამაცია 29 ოქტომბერს: „ამერიკელები თერთმეტს წყენილად რომდნენ სრულის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ, რომ ისინი თვით — თავისუფალი და მთელს ქვეყანაზე შემძლებელი ხალხათ გამხდარიყვნენ. ტერმინებაც თერთმეტს წელიწადზე მეტი ბრძოლის ამის გულისათვის, აგრეთვე თითქმის ყველა ხალხს გამოუვლია ცეცხლი, როგორც გვიჩვენებს იმათი ისტორია იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ ასეთის შეურაცხებისაგან, როგორსაც ითმენს ჩვენი ქვეყანა უცხო ქვეყნელების გადაშლივ. 1866 წელს იტალიის ხალხი დიდს ალტაცების შემდეგ რაკი პუსტოლკასთან დამარცხდა, რომელსაც მე თვის განმავლობაში ისევ გული გაუძლიერდა. 1849 წ. ლაშქრობის დროს, ჩვენ ბერნარიათ წავაგეთ საქმე და თუ მაშინ რომი და ვენეცია სანელოვანათ არ გამაგრებულიყვნენ, ენლა იმ დროების მათიანე ჩვენთვის სამწუხარო საგანებელი იქნებოდა.“

ახლა ჩვენ დაიწყეთ ბრძოლა სიძულვილით

სასე მმართველობასთან. ის თავისის მხდლობით ცდილობს როგორმე ჩვენ მახეში გაგვასხას და რომელიც არ შეგვიერის იმ გვარს შუამაელობას ხმარობს ჩვენ სამტროთ. ჩვენი მტრები ცდილობენ ტყუილის გავრცელებით ის ერთი მუტა ეოლონტერები შემუსრონ, რომელნიც ხალხის კეთილი საქმის სურვილს გამოსთქმენ. მოლონტერებმა პაპის მოჯამაგირები იძულებულ ჰყვეს რომში შეეშყველიათ, და გზებზედ ყველგან ხილები ჩაშალეს. ახლა ისინი უნდა ეცადნენ, რომ თავისი კარგი ქვეყით ღირსეულად გამოჩნდნენ იმ დიდს საქმეში, რომელიც იმათ უნდა შესარულონ. ეოლონტერებო! როდესაც თქვენ დაბრუნდებით აქვენს სახლებში, მაშინ კერის წინ შეყრილს ოჯახს უამბობთ სიამოვნებით იმ ჯაფას, საშიშარ მდგომარეობას და ტანჯვას, რომელიც თქვენ ბრძოლის დროს გამოიარეთ, ეგრეთვე იმას, თუ როგორ დაეცით იტალიის მტრს თავს ზარი და როგორ დაამხეთ, სიამარტანით დაუწყებთ თქვენ დედებს თქვენი სახელოვანი დეაწლის თხრობას. ძმარა, ჩვენ გესურს საქმე გამარჯვებით გათავოთ.

29 ოქტომბერს. იტალიის ეოლონტერების ბანაკი, პირველი მათი სადგომი — პროკლამაცია

შუშევაზე ბარიბალი

მონტანთან ბრძოლა. 3 ნოემბერს, შუადლისას მონტე-როტონდოზე რომ იტალიელ ეოლონტერების ჯარი იდგა, განემგზავნა მონტანის გზაზე ტიეოლისკენ, სადაც ყველა ეოლონტერების ჯარი უნდა შეგროვილიყო. ბარიბალიმ იცოდა, უსაოოთ გზაზე პაპის ჯარი დამხედებოდა, და თავის მხრითაც განემზადა მტრის შესაყრელათ. მეორე დასტა ბერსალიერებისა მოწინავე ჯარად შეიქმნა და უნდა დაეფარა მარჯვენა მხარე თავის ჯარისა, რომელიც უფრო არ იყო დაფარული მტრის თვლისაგან. მთელი დასტა ხუთი ათასი კაცს შეიცავდა. მან ჰქონდა მონტე-როტონდოდგან წამოდებული ორი ზარბაზანი. როგორც რომ წინა ჯარი მოსცილდა მონტე-როტონდოს, გენერალს უთხრეს, რომ წინა ჯარს პაპის ლაშქარი დაეცაო. ბარიბალიმ მოახდინა განკარგულება. მოლონტერების მეორე დასტამ მეორეს და მესამეს დასტა ბერსალიერის ჯარით დაიბანაკა ერთს მალლობზე, რომელიც მონტანიდან ორმილნახევარზეა. აქ ჯარი ჩავარდა ფიცხს თოფის ცეცხლში და რადგან კარგი ფეხის მოსამარგებელი არ იყო ეს ალაგი, ამისთვის ჯარმა გასწია სოფელს მონტანს, და იქ ჩავსაფრა კოშკში და გარემო სახლებში. დანარჩენი ეოლონტერები ამ სოფლის მარჯვნივ და მარცხნივ დემონსტრირენ; ამ დროს პაპის ჯარი შეესივა სოფელს მონტანს და ზოგიერთი სახლი კიდევ დაიქრა; დადგა უკანასკნელი ქამი; ეოლონტერებს უპირებდნენ თავის მოვლას, რომ უკან წასსელებელი გზა აღარ ჰქონდათ, მაშინ გენერალმა ბარიბალიმ გასცა ბრძანება მთელი ჯარი მტრზე იეროშით მისულიყო; მონტანა ისევ ეოლონტერებს დარჩა, ბერნარალი იდგა მალლობზე და იქიდან ზარბაზნებს თვითონ უმიზნებდა. ბარიბალის ჯარმა თითქმის დაჰსძლია, მტერი თანდათან დასუსტდა; ყველას ეგონა ზურგს აჩვენებს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ანტიბის ლეგიონის ახალი ჯარი, რომელსაც ჯერ არ ებრძოლა. ბრძოლა ისევ განახლდა. თოფის და ზარბაზნის ცეცხლმა დიდი ზარალი მისცა ეოლონტერებსა და თუმცა ყოველ მუქის ოდნა ალაგს თავ გამეტებულათ იცადნენ, მაგრამ გამარჯვების იმედი კი აღარ ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ ერთობ მომატებულს მტერს წელი ველარ გაუმართეს, ამასთან ეოლონტერებს წამალიც შემოეღლიათ, მტერი გზა არა ჰქონდათ, ისევ მონტე-როტონდოსკენ უნდა გაბრუნებულ იყვნენ. მტერი მიუახლოვდა სათოფი მანძილზე, მაგრამ იერიშით მისვლა მინც ველარ გაბედა; მთელი

საღამო და ღამე ბარიბალის ხელში იყო; იმას შეეძლო თავ განწირული მხედრობით დაეცვა ეს ალაგი, მაგრამ ჩაგანდა, რომ იტალიის და შრანციის მთავრობა გაეფრეოდა ამ საქმეში, ამისთვის პოლიტიკური მოსაზრება ამჯობინა სამხედროსა და ღამით მონტე-კაროზოსკენ უკან დაიწია. მტერი თვით მხედვდა, რომ ბარიბალი თავის ჯარით აუჩქარებლად გაბრუნდა უკან, ბრძოლა ოთხი საათი გაგრძელდა. ამ შეტაკებაში დაესწრო მთელი პაპის ჯარი. მოლონტერებმა საქმეობით დიციეს თავი.

უკანასკნელს დროს ბარიბალისგან გამოცემული პროკლამაცია. მონტანსთან რომ ბრძოლა იყო, იმას შემდეგ გარიბალიმ 3 ნოემბერს გამოცა პროკლამაცია ძორეზიდგან: „იტალიელებო! იმპერატორის და იტალიის ჯარი შევიდა პაპის მახრამი და არ გაგვათავებინა ჩვენი გულის წადილი, არ დაგვატალა, რომი გაგვეთავისუფლებინა. ამისთვის ჩვენ განვიზრახეთ განუტევოთ სამხ დრო ასპარეზის დატოვება და დავემყარეთ პენინზე, მაგრამ რაკი პაპის ჯარს მისცეს იმდენი ღონე, რომ რომის დაფარვა იმისგან საქმეობა აღარ იყო, იმან სულ ერთიანათ ჩვენზე გამოილაშქრა. რა გზა გვიქონდა, უნდა შევებოდით; მაგრამ ვინც კი ცოტაოდნათ იცოდა ჩვენი მდგომარეობა, ყველა იტყოდა, რომ ჩვენგან გამარჯვება შეუძლებელი იყო. პაპის ჯარს დიდი ზარალი მიეცა და ჩვენც საქმეობთ ეიზარაღეთ. ახლა იმას უნდა მოუცადოთ, თუ რა რიგათ გადაწყვეტენ რომის საქმესა იტალიისა და შრანციის არმია. მინი-ცობაა, რომ ეს საქმე, როგორც ხალხსა ჰსურს, ისე არ გადაწყდეს, მაშინ ხალხი აღმოაჩენს ახალს ძალას, რომ სხვის შეუწყენელათ გაათავოს ეს სასიციოცხლო საქმე.“

— ანგლიის გაზეთებშია გამოცხადებული, რომ იტალიის მთავრობამ განიზრახა ბარიბალის მიცემა სამართალში. პროკურორი მოვიდნენ ანკონაში და პერუზაში მოსალაპარაკებლად. პიემონტის გაზეთი ამბობს, რომ ეს ამბავი მართალია; ხოლო „პიემონტის მოამბემ,“ წარმოსთქვა, რომ ბარიბალი 174 მუხლის ძალით დაატყვევესო. ეს მუხლი ამბობს, სამართალში უნდა მიიციესო ყოველი მოქალაქე, რომელიც თავის მოქმედებით სახელმწიფოს იმისთანა მდგომარეობაში ჩააგდებსო, რომ იძულებულს ჰყოფს სხვა სახელმწიფოს ომი გამოუცხადოსო. თუ მართლა ძაბინეტმა ამისთანა განკარგულება მიიღო, ეს იგი ბარიბალი შრანციის ჯარით დამარცხებული სამართალში მისცა, ეს საქმე მიუცილებლად კიდევ უფრო გააჯავრებს იტალიის ხალხს და ჩასთესს იმაში სიმძულვარეს შრანციანზე.

— მათი იტალიის გაზეთი გვაჯერებს, რომ რომიდგან იტალიის ქალაქმა პირობა შექცერესო, რომ მინამ შრანცია იტალიას რომზე მოსარჩლეთ უღვას, არც ერთმა შემოხსენებულმა ქალაქმა არ უნდა იყიდოს შრანციის საქონელი.

ტ ე ლ მ გ რ ა მ მ მ ი,
პეტრობურგში მიღებული.

პარიში, 28 ოქტომბერს (9 ნოემბერს). მონიტორში სწერენ, რომ სამხედრო მინისტრს ჯერ ოფიციალური მოხსენება არ მიუღიათო მონტანთან ომის შესახებ, მაგრამ ეს კი იცისო, რომ ხუთმა შრანციის ჯარის ბატალიონმა მიიღო მონაწილეობა იმ ომში და ჯარის წინამძღოლათ გენერალი პოლენი იყო.

ლონდონი, 29 ოქტომბერს (10 ნოემბერს). პოჩით მოვიდა ამბავი, რომ 18 (30) ოქტომბერს ჩრდილოეთს ამერიკაში ტეხასის შტატში სამინელი ქარი ადგა და ძლიერსკილი, ზღვადი, ბროუნსილი და სხვა

კიდევ რომელიმე ქალაქები სულ დაუქცევია. ამ უბედურების დროს ძლიერ ბევრი ხალხი დაღუპულა.

პარიზი, 29 ოქტომბერს (10 ნოემბერს). ღვეანდელს მონიტორის ნომერში დაბეჭდილია ტელეგრაფმა გენერლის შალი-სგან გამოგზავნილი რომიდგან; იმათი. აწერილია დაწერილებითი ომი მონტანთან. მოლონტერებს პირველათ პაპის ჯარი შეშშია. ის ყოფილა რიცხვით 3,000 კაცი. ამ ჯარს უკან 2,000 შრანციის ჯარი მიჰყვოდა, და ბოლოს ამასაც უოგნია. შრანტუზებს 2 კაცი მოჰკლამიათ და 38 დასჭრიათ. პაპის ჯარში 20 მოკვდარა და 123 დაჭრილა. ბარიბალდის მომხრეებთან 600 არის მოკლული და რაც ამას შეფერება იმდენიც დაჭრილი. ბარიბალდის მომხრეები ძლიერ დალონებულნი არიან. თავიანთს დამარცხებას დალონებას აბრალებენ. შასპოს თოფები, რომლებითაც შრანციის ჯარი იყო შეიარაღებული, ძლიერ გამოდგარან და საკვირველათ უმოქმედნიათ. 28 ნოემბერს საღამოზედ მიტერბო პაპის ჯარს დაუჭერია და მცხოვრებლებს ისინი აღტაცებით მიუღიათ.

წარსული და მიმავალი ინგილოვების სხობრება.

ინგილოვები შთამომავლობით არიან ქართველნი. იმათ ქართველობას ამტკიცებს მათი ენა. ბუნებითი ენა ინგილოვებისა არის ქართული, მაგრამ იმას მიუღია, მათ მდგომარეობის და გვარად, სხვა, განსხვავებითი ქართული ენაგან, ხასიათი. ბი მკითხველო, მათი ქართული ენის ნიმუში: „მე მივდ, შენც ჩემს უკან მალე მოი; დეგემატ ტყეში წაედეთ—ერ წყვილ კევრ გამოილოთ. ძალიბეთ კევრები არ გოქ, რას შამბღვართა? მაშინ ბეილლაჯ დარჩომას, ეხლითაე თადარიქ გაეწიოთ კაის. ამმეშა სხვიბეთ კევრების მოთხოვნითაც ბეიბურ გახდით. სხვიბეთ მინათ ქნას, ჩონიე მინათ გაეწიოთ კაის; ამმეშა სხოჯ არ გოგმართავს.“ სწორეთ ამ გვართ ლაპარაკობენ ესენი თავიანთ ოჯახობაში. შველანედ კარგათ ქართულს ლაპარაკობენ ალიბათელები. მაგრამ 43 წელს „ლოვბა“ შეცდომით, ამბობდა ვითომც ქართულ ყველაზე კარგათ ალიბეგლოვლები ლაპარაკობდნენ. ტყუილია. მათრულს ენას სწავლობენ, რადგან ის მზარაში ძლიერ გამოსადეგია. ამის გამო თათრული ენა ყველამ იცის. მქესი წლის ყმაწვილი იმდენს შეიძლება, რომ პასუხი მოგცეს, თუ კი ამ ენაზე რასმე დაჭკითხავ. ინგილოვ იცის ენები: ქართული, ლეკური, თათრული და თითოორლა სომხური და რუსულიც.

ინგილოვები ცხოვრებენ მულაღისა და ლეკებისაგან ცალკე, თითქმის ჯგუფათ. რიცხვი სოფლებისა არის 16. რიცხვი კომლებისა კიდევ ჩემის აზრით, უნდა იყოს 5,490, სული კიდევ 12,666. ამათში ქრისტიანი: 2,000 კომ. ამათ უჭირავთ ძლიერ ნაყოფიერი მიწები და ცხოვრებენ ზაქათალის მზარის შუაში. ბარშემო ახვევიან ლეკები და მულაღელები. შარელებს ნაყოფიერი მიწები ამათთვის მიუცი-ათ, ამისთვის რომ ამათ ამ მზარაში მცხოვრებ ხალხებზე უმჯობესი მზნება და შრომის მოყვარება აქვთ. მაგრამ ეს კი არის ცუდი, რომ ამ ალაგებში ჰავა ძლიერ ცხელია და ზაფხულში კაცს შხამავს. მაგრამ ინგილო მაინც და მაინც ძლიერ განირჩევა თავის თეთრ-წითელ ფერით, ნესესავით გაყვითლებულ მულაღეებისაგან. მსენი სახით ჰგვანან ქართველებსა, მაგრამ „ლოვების“ რედაქტორი კი თავის 43 წელს ფიქრობდა, ვითომც იმათ სახე შესცვლიდათ და არც მათ ჰგვანდნენ. მს შეცდომილებია. იმათ ტანსაცმელი, რომ არა ჰქონდნენ განსხვავებული, ვერაოდეს ქართველებში ვერ გამოარჩევიდით, რასაკვირველია არ დააკლდებიან ისეთნიცა, რომელნიც მარ-

თლაც ქართველს არა ჰგვანდნენ, მაგრამ ასეთს სამაშნი ერთს იბოვიოთ. მითო ოროლა ასეთი უფვანი საქართველოშიაც იბოვიბიან, და ეს ჩვენ ნებას არ მოგვცემს ესტყვათ, რომ ქართველები სრულად ლეკებსა ჰგვანანო. მთე-ცა ესენი ორივე ჩამომავლობენ ძავკასის რასითგან. მაგრამ ლეკები და ქართველები მაინც და მაინც განირჩევიან.—საზოგადოთ რომ ესტყვათ. ინგილოვები ტანათ მალაღნი არიან.

1616 წლამდე ინგილოვები ქახეთის მეფეების ქვეშევრდომნი ყოფილან, როგორათაც სხვა ამ მხრის ქართველები. ამ წელიწადს, როგორც ვნახეთ, შაბაზმა ჩამოართვა ქახეთის მეფეს, ალექსანდრე მე II-ს, და დააყენა სულთნე-ბი, რომელთაც მართეს ილისოს სასულთნო, ინგილოვები, 1844 წლამდე. ამ წელიწადს დანი-ელ-ბეგმა, რომელიც ეხლა ცოცხალია, რუსეთს უღალატა და გაიქცა ღლისტანში. ამას შემდეგ რუსეთმა მას სახელი ილისოს უჩასტათ შეუტყალა და მოაწყო თავისი სასამარ-თლოვები და აქამდე განაგებს მას. ახლა ილი-სოს სანაიბოს ეძახიან, მაგრამ უსაფუძვლოთ. სასამართლო და მოსამართლე ქაკში იმყოფები-ან და ამისათვის სამართალი მოითხოვს, რომ ილისოს სანაიბო ქაკის სანაიბოთ იწოდებო-დეს.

ჩვენ ზემოთა ვსტყვიოთ, რომ ინგილოვები ზაქათალის მზარაში ცხოვრებენო. ამ გვართ თქმა შეიძლება ეხლა. არ შეიძლება ასე ითქვას მაშინ, როდესაც ინგილოვების ტანჯავზე ელაპარაკობთ, ამისათვის, რომ იმათთვის უნ-უფეშო დროს ეს მზარა განიყოფებოდა ორ სამფლობელოდ. მართს ერქვა ილისოს ანუ-ქაკის სასულთნო, მეორეს შარ-ბელაქანი, ბუ-რჯისტანი ანუ მლისენი. ინგილო ცხოვრებ-და და ცხოვრებს ორივე სამფლობელოში. ამ სამფლობელოების ბატონების მოპკრობა ინგილოვებისათვის სხვა და სხვა გვარი ყოფი-ლა, რისაგამო ამათ მოპკრობაზე ჩვენ ცალკე-ცალკე მოველაპარაკებთ მკითხველს.


შარელებს უფრო კაცური გრძნობა ჰქონ-დათო, ვიდრე ილისოელ ლეკებს; ესენი უფ-რო კაცურათ ეპყრობოდნენო, ვიდრე ილი-სოელი ლეკებიო,“ ამბობენ ინგილოვები. შარ-ელები ინგილოვებს კარგათ ეპყრობოდნენ ამისათვის, რომ ამას მოთავე სარგებლობა ითხოვდა. მათ კარგათ სცოდნიათ, რომ თუ ინგილოს პატიოსნურათ მოეპყრობა, იმათგან ბევრს ხეირს ნახავს. მს სარგებლობა ყოფი-ლა იმის მიზნეცა, რომ ქარელებს ისინი ილისოს სასულთნოდამ თავიანთ მიწა წყალ-ში მიუწვევიათ ხოლმე დაუსახლებიათ. მრავალს ინგილოს, რომელიც, ილისოს სასულ-თნოდამ შეწუხებულნი, შარის მიწაში გადასახ-ლებულა, თავისათვის იმ სოფლას სახელი გვართ დაურქმევია, რომლისაც მცხოვრებელი წინათ ყოფილა. მაგალითებრ, რომელნიც სოფლის საქნიდამ აყრილან, იმათ გვართ სა-ქნელაშვილები უწოდებიათ. მრავალნი არიან ეხლა საქნელაშვილები სოფელს შორაღანში და ზაგამში. მთელი სოფელი ზაგამი საქნიდამ ანუ ძახიდამ არის აყრილი და დასახლებული შარის მიწაში. მართო ეს ფაქტი კარგათ ამტ-კიცებს, რომ ილისოს სულთანს და მის ქვე-შევრდომ ლეკებს უფრო უწუხებიათ ინგი-ლოვები, ვიდრე ქარელებს. მთ ეს ასე არ ყოფილიყოს, ხალხი შარის მიწაში არ გაიქ-ცეოდა. ორი ნაწილი ინგილოვებისა ეხლა ბურჯისტანში ცხოვრებს, ერთი კი ქაკის სა-სულთნოში. როგორათაც ქაკის სასულთნო-ში მცხოვრებ ინგილოვებს, აგრეთვე ბურჯის-ტანში მცხოვრებლებს რომ ჰკითხო: თქვენ მამაპაპს წინაპირველათ სად უცხოვრიაო, მაშინვე გაპასუხებენ: „ჩვენი მშობელი (დე-და) ქაკია, ჩვენ მამაპაპს პირველათ იქ უც-ხოვრია და მერე აქეთ გადმოსახლებულა, რადგან ქარელებს ინგილოვები უსახლებიათ ბურჯისტანში არამც თუ მხოლოდ ამათ თხო-ვნიო, არამედ თეთონაც მიუწვევიათ ესენი,

რომ რა არის მცხოვრებლების უმეტესობამ მათ ხარჯის მძღველები გაუმრავლოს.“ ინ-გილოვებს რომ შეუტყვიათ ქარელები მათ თა-ვიანთ მიწაში დასახლების ნებას აძლევნო, მაშინ ყველას იქითკენ გაუწყვია, უფრო ამი-სათვის რომ ისინი ილისოელ ლეკებზე უფ-რო პატიოსნურათ ეპყრობოდნენ. იშვიათად მოხდებოდა თურმე, რომ ქარელი მოსულ იყო ინგილოს სახლში და ლანძღვა-კრუე-ლით, როგორც ილისოელი, აეწყა თავისი ხარჯი და წაეღო; მას ჰქონია და აქეს თავი-სი მამული აღწერილი და იჯარაში ინგილო-სათვის მიცემული. ამასთანავე მცხოვრებლე-ბიც ერთმანერთში დაყოფილი აქეთ, რისა-გამო ყოველი ინგილო იცნობს თავის მემა-მულე ბატონს. ინგილო ქარელს მიწის ლა-ლას მიუტანდა, ქარელი მას კარგს ქეიფს აწვეინებდა და აცილებდა. მზახე არაიის შე-ედლო მისთვის ხელი ეხლო. მაი იყო იმის-თავს, რომელი ქარელიც კი გაბედადა მის შეწუხებას. მთ ერთი ქარელი მეორე ქარე-ლის კაცს ხელს ახლებდა, მაშინ ბატონებს ერთმანერთში მოუვიდოდათ დიდი შფოთი. მაგრამ ვინ ზარალობდა ამ ჩხუბით? ისეე ინ-გილო. მათ რომ ჩხუბი მოუვიდოდათ, მაშინ ერთმანერთის მხარეებს დაცემოდნენ ხო-ლმე და იკლებდნენ, და ამით ამართლებდნენ ქართულ ანდაზას: „აქლემები წაიკიდნენო და შუაში კოხაკი გატყლიბესო.“ ამ გვართ იქცეოდნენ საქართველოს ბატონებიცა და ეს ანდაზა სწორეთ მათზე არის შედგენილი ხალხისაგან. ამ შეწუხებისა გამო ეხლა ბევრს ინგილოს უყენდია ქარელისაგან დედულ—მა-მული, თავისუფალი გამხდარა და მას მიწის-თვის თავს აღარ უკრავს.

გონებ მკითხველმა კარგათ იცის, რომ კა-ცი ყოველთვის თუ აფასებს რასმე, შედარე-ბით აფასებს. სული უბრალო ლაპარაკიც კი არ შეიძლება უამისოთ. ამისთვის ინგილოს მხრითაც ქარელების ქება ილისოელ ლეკებ-თან შედარებითი ქება არის. მაშ მე ვიტყვი, რომ არც ამათ დაუკლიათ ინგილოვებისათვის. „ურიაც და მისი შეილიც ღმერთმან ორივე დაწყველოსო,“ ტყუილათ ხომ არ არის ნა-თქვამი. მათი დენა და ტანჯვა ზნეობითიც ყოფილა და ფიზიკურიც. ის ინგილოს ყო-ველთვის რაიათს უწოდებდა, ამისა გამო მას-თან არ ჰქონდა არც კავშირი და არც რამე საზოგადო, შეზიზღებით უყურებდა მის კა-ცურ ღირსებას, რომელსაც კაცზე დამორგუ-ნავი გაეღენა აქეს. შარელის ცლა მუ-დამ ის ყოფილა, რომ ინგილო კეთილშობი-ლი არ გამხდარ იყო. ბევრჯელ თურმე ინ-გილოვებმა ღლისტანის ლეკებს თავს ზარი და-სცეს, მაგრამ, რადგან ზედამხედვეთ ნაჩაღნი-კი აქაური კაცი ჰყოლიათ, ამისათვის მათი ვაჟკაცობა მთავრობისათვის უმალავთ, და ის ლეკებისა და მულაღეებისათვის მიუწყრიათ. ამას ისინი ეხლა თვითონვე ამბობენ. მიდ-რემდე ინგილოვები მონათლდებოდნენ არ ყო-ფილა მაგალითი, რომ ისინი ან მენდალზე ან სხვა რამე ჯილოვზე წარედგინათ, და ესენი მას მოსვლოდეს. ამის გამო მას ძლი-ერ ეჯავრებოდა და ეჯავრება ლეკი და როდესაც მოვიდოდა დღე მათი აღსასრული-სა, ესე იგი მოასწრება სადმე ღლისტანის ყა-ჩალებს, მაშინ დაუყვანებლივ მიეცემოდა თავ-ის სისხლის დუღილს და სცემდა ხმაღს და ხანჯალს დასტას; მაგრამ ესეები ლეკებში სრულებით არ სჩანდა ისიც კი მოხდებოდა თურმე ხანდისხან, რომ ვაჟკაცს ინგილოს შინადანვე უღალღებდნენ პირაქეთნი ლე-კები და მოჰკლავდნენ, რომ რა არის ასე ვაჟ-კაცურათ ის რათ ხოცავს ჩვენ სჯულის კა-ცებსაო. ბარდა ამისა იმას არაოდეს იქამდე არ მიუშვებდნენ, რომ მთავრობისათვის გა-მოეცხადებინა თავის ვაჟკაცობა. შველანი მტრათ გაუხდებოდნენ იმ ინგილოს, რომე-ლიც ამას გაბედადა, რადგან ძლიერ ეთაკი-ლებოდათ და ითავიობათ ინგილოვების ჩ-

ნოენიკობა. მაგრამ მალღობა ღმერთს, ეს ნე-ტარება, მონათელის შემდეგ, შარელებსაო. მონათელის შემდეგ ინგილოვებს მთავრობამ ყურადღება მიაქცია და ჩქარა დაინახა მათი ვაჟკაცობა, და მრავალი წარადგინა და უბო-და ზოგს ჯვარი, ზოგს ყელის მენდალი და ტემლაკი, ზოგს აფიცრობა და ნაიბობა, ზო-გიერთს პენსიაც დაუწინა 5—15 თუმანდღე. შარელებს ეს არ მოსწონთ, მაგრამ რას გა-აწყობენ.

მიდრე ქარელებს პირში ჩაადებდნენ მათ ბევრი ევრაგობა გაუწყენიათ, მაგრამ ხალხი არ ვიცი მათ კარგობას რათ ლაპარაკობს. გონებ ესენი ილისოელებზე კარგები ყოფი-ლან ინგილოვებისათვის მხოლოდ იმაში, რომ მათ ილისოელებსავეთ თავის მათხოვარეობით მათთვის თავი არ უბეზრებიათ. სხვაში მე ამათ კარგობას ვერა ვხედავ. მითო მისელა-ზე ესენი თურმე ორმოცამდე მოვიდოდნენ ინგილოს სახლში, ხეთქამდნენ (სიტყვა ინგი-ლოურია: ქართულათ სკამდნენ. ამას ხმარო-ბენ, როდესაც ვისმეს დასცინიან), და მერე მოჰყებოდნენ ქალის, რძლის და დედაცე-ბის ლანძღვას, რომელ უსენინდისოებისათვი-საც ინგილოს ბევრი ქარელებისთვისაც კისე-რი მოუფლეჯია და ბრულში ჩაუჩრია. მთ არა ცხადათ, მალეით მაინც გადმოუგლიათ ცხენიდა და ამით უგიათ პასუხი. მის აკაფვა ცხადათ მას უფრო კარგათ შეეძლო, მაგ-რამ ლეკის კანონისაგან ეშინოდა. მესისხ-ლეს დასჯის კანონი ის ყოფილა, რომ ვინც კაცს მოჰკლავდა, მას თავი უნდა დაენებებინ-თა თავის მამულისათვის, და ცოლშვილით სა-მი წელიწადი უნდა მოშორებოდა თავის ოჯახს. მოვიდოდა მკედრის პატრონი, დაუ-წყავდა სახლებს, აიკლებდა მამუღს და წაეი-დოდა. მერე თუ სამ წლამდე ვერ მოჰკლავ-და თავის მესისხლეს საშუღამოთ ეპატივებო-და, მაგრამ ეს კანონი ინგილოვებზე ამ გვა-რათ არ მოქმედებდა. ის საშუღამოთ მესის-ხლე გახდებოდა და ქარელი მას ყოველთვის დაეძებდა, რომ ეს ყოველიფერი განსაცდელი მან თავიდამ მოიშოროს, მალეითა ჰკლავდა. მთ კი იშოვნიდა მარჯვე დროს, ის არაოდეს არ არიდებდა მის გულს ცხელ ტყვიას. ამით მას მა-გიერს უფებდა. შარელი მას უპატიოდ ეპყ-რობოდა, მას კისერში, ცუდ უბრალო საქ-მისათვის, საბედს და ვაზს უფებდა და ახრ-ჩობდა, თვალებსა სთხრიდა ინგილო კიდე მას მალეით გულზე ტყვიას აკერებდა. მთავ-რობამ მათ თავის ნებითი ქცევა შეუტყვა, და ინგილომაც ხელი აიღო მათ ხოცვაზე. ინ-გილოს დენა მოისპო, ამისათვის იმანაც მო-სპო შურის გება. მხლა ძნელათ იქმნება, რომ ინგილომ კაცი მოკლას. ის არაოდეს ცუდ-უბრალოთ კაცს არც აწყენინებს და არც სხვისგან იწყენს. არაოდეს არ შეიძლება, რომ ინგილოვებმა ერთმანერთი გაღანძლონ. ლან-ძღვისათვის ესენი მაშინვე ჩხუბს ასტყენ და ერთმანერთს ძლიერ გაბეგვენ და იქმნება ხანჯლებითაც დასტრან. ამის გამო ისინი ენა-ზე ძლიერ სიფრთხილით არიან. მაშასადამე ის მეცნიერნი ძლიერ ტყუვიან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ინგილოვებისათვის კაცის კვლა ძლიერ ადვილიაო. მხლა ქარელები და დაღისტენლები უფრო ადვილათ ხოცვენ კა-ცებს. მითქმის ორი წელიწადი არის, რაც მე აქა ვარ, და ამ დროების განმავლობაში კა-ცის მკვლელობის ამბავი ერთი და ორი არ შემიტყვია. მს სულ ქარელ ლეკებს და მუ-ღაღებს მოუხდენიათ, და არა ინგილოვებს. სხვა ნაირი ყოფილა ინგილოვების დენადა ტანჯვა ილისოელ ლეკების ხელში. ჩემი მტე-რიც ნუ ჩავარდებოა, იტყვის ხოლმე ინგი-ლო, როდესაც მას ჰკითხავ, როგორ გეპყრო-ბოდნენ ისინიო. ის შშიერი იყოო და კიდე-ვაც შშიერიაო, ამბობენ მერე, და ამისათვის ყოველიფერი ძალადობა იმათ ხელიდამ გამო-დიოდაო. ამისა გამო ინგილოს, როდესაც ილისოელი აწვიოდა, რასაკვირველია



რომ მე მაგის გამოკლევა და შეტყობა არა მწადსო. შეველა ანგლიელი იმას ფიქრობს, რომ ეს ასეთი მახვილის ჩეჩინებით პასუხის ძლიერა რასა ნიშნავსო. ანგლია გაკვირვებულად, და ძლიერად ჯავრობს იმაზედ, რომ იტალიელებს უშლიან თავიანთ დედა ქალაქთან დაახლოვებას, და ფრანკულელებს კი უბრძანებენ იქ შესვლას: Times-მა გონივრულათ სთქვა, რომ იმ ხალხის მხრივ, რომელსაც მომეტებული უძღვება აქვს, თავის სუსტის მეზობლის დახმარებლივ დიდსულოვანება არ არისო. მაშეთი Daily-Neus იმედოვნებს, რომ ანგლია ყურს არ მოიყრუებებს და მორიგდნ სერიის ცქერას არ დაუწყებს იტალიას, რომელიც გამაყვებული პროტექტორის მეტის მეტათ მიმეგ საქმის შეკვეთით ძალიდგან იცლებს. მრთის სიტყვით ყველა ანგლიის გაზნებები, უფ. მუტიეს უკანასკნელი ნოტისაგან უკმაყოფილო არიან და თავიანთს უკმაყოფილებასაც სრულებით არ მალავენ.

შრანსი. Le Temps-ში დაბეჭდილია ერთი ბარათი, სადაც აღწერილია მონარტორის სასაფლაოზედ 22 ნოემბერს კაცების დატუსაღება გამოჩენილის რესპუბლიკელის წოდებულ ძაგენიასის საფლავის ყვევილებით მოფენის დროს, როგორც ამტყიცებენ ამ ბარათზედ ხელის მომწერელნი: სხვათა შორის, უფ. შრედერი, მორენი, მტიენ პრაგო და შრეკ, ათი თუთორმეტი კაცი, ძაგენიასის საფლავთან მდგომნი, ყოვლის უმიზნობით დაიჭირეს და ციხეში წასახეს. იმათი დაქვრა ანიშნა ერთმა უფელმა, რომელსაც გუდზედ ორდენი ეკიდა. ამ რაქტივლებში ერთდენ რამდენიმე ლიტერატორები, სხვათა შორის უფ. ლერმინი გაზეთის ძორსარის თავი რენდაქტორი, უფ. მიეტორ ნორი Journal de Paris-ის თანა შემწე და სხვანი.

იტალია. რომი 22 ოკტომბერს (22 ნოემბერს), საკვირველია, რომ ორი შესანიშნავი ამბავი ერთსა და იმავე დღეს მომხდარა დღესაც ერთის წლის წინათ გენერალი მონტენელევი მარტინი და შრანსის ჯარით რომიდგან მასასდღედად მიმავ დღესამწყოს ახალი ფრანკულის კარაბუსი შემოვიდა ჩივიტა-ვეკიკაში პაპის დასაფარად. რომაელები ამბობენ, ესიცი ცუდი ნიშანია, რომ ფრანკულის ფლოტის შემოსვნივებული ჯარით დატვირთული ორ დღეს ზღვაში იდგა და ქარზეშლის გამოგერ შემოსულყო ჩივიტა-ვეკიკაში; ამ უკანასკნელს დღეებში ჩივიტა-ვეკიკიდან სამი პლაცი, რომსე მოვიდა, ამ ჯარის მოსვლის შემდეგ რომი კიდევ უფრო შეიზღუდა, რადგან ხელახლად ელიან მიღეღარებას; ერთგან თოფიც გავარდა და შენიშნეს, რომ ის გენერალს პოლაკზე იყო დამიზნებული. შრანსის ზუგაების მდგომარეობა გასახარი არ არის; იმისთვის რომ რომის ახალ-გაზრდა ძალიან უბღვერის იმით. მინ იცის, როდის და რა რიგად დაწყნარდება ეს მხარე. მაგრამ ძაპიტორლის მაინც ყველანი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ. დიდი შესავლის კარები ასეთი მაგრად არის ჯარით გაკავებული, რომ ჯერ იმისთანას არავენ მოსწობია. შარპის კლდის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ კაპიტოლიიდან გამოსვლა; ჯერ არც ერთი ბარიკადი არ აუღიათ.

დემონსტრაცია შლორენციში. 23 ოკტომბრიდან გაზეთს „იტალიაში“ იწერებინ: „მუშინ დიღინი ზღვი ქუჩებზე იყო მიკრული აფიშები, რომელზედაც ეწერა: „იტალიელებო! რომში გუშინ საღამოს ბრძოლა დაიწყო. დღეს 11-ს საათზე სინიორის მიდინზე ხალხი დაბარებულია შესაყრელად.“

თუმცა წვიმა იყო, მაგრამ ამ მოწოდებამ მაინც ძალიან ბევრი ხალხი შეკრა. შეიღის შუაგულზე აღმართეს სამფეროვანი დროშა და დიდი გროვა ხალხისა ვარშემოკრებულა; თერთმეტი საათი სრული იყო, რაცა ხმა გა-

ხდა „ღვეგრძელ იყოს რომი, სატანტო ქალაქი იტალიისა! უცხო ქვეყნელების გარევა ჩვენ შინაურს საქმეში არ გვინდა! ღვეგრძელ იყოს ბარიბალი ძაპიტოლიაში!“ ამას შემდეგ ხალხი წავიდა რიხარდის სასახლისკენ და წინ დროში მიჰქონდა; ვინც კი გზაზე შეხვდა, ყველა აედევნა. იმავე დროს სინიორის მიდინზე ორი დასტა ჯარი გამოჩნდა; ორგანიაც ღონივრად გამაგრეს, დანარჩენი ჯარი რიხარდის სასახლისკენ წავიდა. ამ დროს ხალხი ჰყვიროდა „ღვეგრძელ იყოს იტალიის მხედრობა!“ მათი დასტა ჯარისა ჩესაფრა სასახლის ეზოში, დანარჩენი ნაწილი კი დამეწკრივა ბარის ქუჩაზე. ხალხი დადგა ძაყურის ქუჩაზე და უწინდელი ჰყვიროდა: „ღვეგრძელ იყოს იტალიის მხედრობა!“ ჩვენის პრეზიდენტთან (თავს მჯდომარესთან) გაზახენს თავი კაცები აღრესის გადასაცემით, რომელშიაც ხალხი ითხოვდა, რომ პრეზიდენტს რომი იტალიის სატანტო ქალაქად გამოეცხადებინა. მინამ მოციქულები არ მოაბრუნდნენ, ხალხი ჩუმად იყო. მაგზანილი კაცებმა მინისტრიდან მოიტანეს ეს ამბავი: „მინისტრმა სთქვაო მმართველობა ყურადღებას მიაკცევს ხალხის სურვილს და მთავრობის გაზეთში საღამოს დეკლარაციას დაბეჭდასო.“

თუმცა ხალხმა ეს პასუხი გულგრილად მიიღო, მაგრამ მაინც არა უთქვამს რა. ამას შემდეგ ხალხი სანტა-მარია-ნოველას მიდინზე წავიდა და იქ დადგა ერთი სახლის წინ, სადაც ბარიბალი იდგა. ორტა ხანს შემდეგ ბარიბალი ბალკონზე გამოვიდა, როგორც კი დაინახეს, ერთი ხმით დაიყვირეს (ბრავო) და ქული მოიხადეს. ბარიბალიმ სთხოვა ხალხს ქული დაეუზრათ, ხალხმაც თავის მხრით დაუყვირა, „გენერალი თქვენც ქული დაიხურეთო.“ მერე ბარიბალიმ დაუწყო ხალხს ლაპარაკი: „იტალიელებო! მე ისევ თქვენ შორისა ვარ; მე მოველოე, რომ ჩემი ღონე თქვენ ღონეს დაეძინოდა და ერთად შევასრულოთ სამშობლოს გამოსხნა. იმით უნდა დავემტკიცოთ მთელს ქვეყანას, რომ სხვისი მხრუნევი ლაპარაკი ჩვენივე საქმეში არ არის. ხალხი და მხედრობა მალე შეეღონ რომის შიწაში, რომელსაც უცხო ტომის მარჯვენა ეს ამდენი ხნად შეუბრალებლად სჩაგრავდა.“

ჩემი მხრით პათოლას სიტყვას გაძღვეთ, რომ ჩემს მოვალეობას მინამ არ ავასრულებ, არ მოვეშვები. ახლა ვათავებ თქვენ თან ლაპარაკს და მოგაგონებთ, რომ თქვენი ძმები ახლა პაპის ჯართან იბრძვიან რომის ნიღაგეზე. არ დაიფიწოთ ესა. აწ მშვიდობით მამაცო ხალხო. ხალხი დიდი სიხარულით მიეგება. ორტა ხანს შემდეგ ბარიბალი სახლში შევიდა და ხალხი ისე დაიშალა, რომ უწესება არა მოუხდენიარა.

პიემონტის გაზეთში დაბეჭდილია შემდგომი პროკლამაცია, ბარიბალისაგან გამოცემული — ძოლომბოში 29 ოკტომბერს: „ამერიკელები თერთმეტს წელიწადს რომდენდნ სრულის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ, რომ ისინი თერთმეტი სუფალი და მთელს ქვეყანაზე შემძღვებელი ხალხათ გამხდარიყვნენ. ტერმინებაც თერთმეტს წელიწადზე მეტი იბრძოდეს ამის გულისათვის, აგრეთვე თითქმის ყველა ხალხს გამოუვლია ცეცხლი, როგორც გვჩვენებს იმათი ისტორია იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ ასეთის შეურაცხებისაგან, როგორსაც ითმენს ჩვენი ქვეყანა უცხო ქვეყნელების გადაშკიდე. 1866 წელს იტალიის ხალხი დიდს ალტაცების შემდეგ რაკი კესტოლიკასთან დამარცხდა, რამდენს მე თვის განმავლობაში ისევ გული გაუძღვებოდა. 1849 წ. ლაშქრობის დროს, ჩვენ ბევრნაირათ წავაგეთ საქმე და თუ მაშინ რომი და ვენეცია სახელოვანათ არ გამაგრებულიყვნენ, ეხლა იმ დროების მატინე ჩვენთვის სამწუხარო საგონებელი იქნებოდა.“

ახლა ჩვენ დაიწყეთ ბრძოლა სიძულილი

სასე მმართველობასთან. ის თავისის მხდლოებით ცდილობს როგორმე ჩვენ მახეში გაგვასხს და რომელიც არ შეგვირის იმ გეარს შუამავლობას ხმარობს ჩვენ სამტროთ. ჩვენი მტრები ცდილობენ ტყუილის გავრცელებით ის ერთი მუქა ეოლონტერები შემეუსრონ, რომელნიც ხალხის კეთილი საქმის სურვილს გამოსთქმენ. მოლონტერებმა პაპის მოჯამაგირები იძულებულ-ჰყვეს რომში შემეწყვიდათ, და გზებზედ ყველგან ხილები ჩაშალეს. ახლა ისინი უნდა ეცადნენ, რომ თავისი კარგი ქვეყით ღირსეულად გამოჩნდნენ იმ დიდს საქმეში, რომელიც იმათ უნდა შესარულონ. ეოლონტერებო! როდესაც თქვენ დაბრუნდებით აქვეს სახლებში, მაშინ კერის წინ შეყრილს ოჯახს უამბობთ სიამოვნებით იმ ჯაფას, საშიშარ მდგომარეობას და ტანჯვას, რომელიც თქვენ ბრძოლის დროს გამოიარეთ, ეგრეთვე იმას, თუ როგორ დაეცით იტალიის მტრს თავს ზარი და როგორ დაამხვეთ, სიამარტანით დაუწყებთ თქვენ დედებს თქვენი სახელოვანი დეაწლის თხრობას. ძმარა, ჩვენ გესურს საქმე გამარჯვებით გაეთავოთ.

29 ოკტომბერს. იტალიის ეოლონტერების ბანაკი, პირველი მათი სადგომი — ძოლომბო.

შუშუპე ბარიბალი

მონტანთან ბრძოლა. 3 ნოემბერს, შუადლისას მონტე-როტონდოზე რომ იტალიელ ეოლონტერების ჯარი იდგა, განემგზავრა მონტანის გზაზე ტიეოლისკენ, სადაც ყველა ეოლონტერების ჯარი უნდა შეგროვილიყო. ბარიბალიმ იცოდა, უსაოუოთ გზაზე პაპის ჯარი დამინებებო, და თავის მხრითაც განემზადა მტრის შესაყრელათ. მეორე დასტა ბერსალიერებისა მოწინავე ჯარად შეიქმნა და უნდა დაეფარა მარჯვენა მხარე თავის ჯარისა, რომელიც უფრო არ იყო დაფარული მტრის თვალისაგან. მთელი დასტა ხუთი ათასს კაცს შეიცავდა. მან ჰქონდა მონტე-როტონდოდგან წამოღებული ორი ზარბაზანი. როგორც რომ წინა ჯარი მოსცილდა მონტე-როტონდოს, გენერალს უთხრეს, რომ წინა ჯარს პაპის ლაშქარი დაეცაო. ბარიბალიმ მოახდინა განკარგულება. მოლონტერების მეორე დასტამ მეორეს და მესამეს დასტა ბერსალიერის ჯარით დაიბანაკა ერთს მალლობზე, რომელიც მონტანდგან ორმილნახევარზეა. აქ ჯარი ჩავარდა ფიცხს თოფის ცეცხლში და რადგან კარგი ფეხის მოსამაგრებელი არ იყო ეს ალაგი, ამისთვის ჯარმა გასწია სოფელს მონტანს, და იქ ჩესაფრა კოშკში დაგარემა სახლებში. დანარჩენი ეოლონტერები ამ სოფლის მარჯვენე და მარცხენე დამეწკრივნენ; ამ დროს პაპის ჯარი შეესივა სოფელს მონტანს და ზოგიერთი სახლი კიდევ დაიჭირა; დადგა უკანასკნელი ჟამი; ეოლონტერებს უბირებდნენ თავის მოვლას, რომ უკან წასასვლელი გზა აღარ ჰქონდათ, მაშინ გენერალმა ბარიბალიმ გასცა ბრძანება მთელი ჯარი მტრზე იერიშით მისულიყო; მონტანა ისევ ეოლონტერებს დარჩა, ბენერალი იდგა მალლობზე და იქიდგან ზარბაზნებს თვითონ უბიზნებდა. ბარიბალის ჯარმა თითქმის დაჰსძლია, მტერი თანდათან დასუსტდა; ყველას ეგონა ზურგს აჩენებს, მაგრამ ამტროს გამოჩნდა ანტიბის ლეგიონის ახალი ჯარი, რომელსაც ჯერ არ ებრძოლა. ბრძოლა ისევ განახლდა. თოფის და ზარბაზნის ცეცხლმა დიდი ზარალი მისცა ეოლონტერებსა და თუმცა ყოველ მუქის ოღნა ალაგს თავ გამეტებულათ იცავდნენ, მაგრამ გამარჯვების იმედი კი აღარ ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ ერთობ მომატებულს მტრს წელი ვეღარ გაუმართეს, ამასთან ეოლონტერებს წამალიც შემოეღიათ, მეტი გზა არა ჰქონდათ, ისევ მონტე-როტონდოსკენ უნდა გაბრუნებულ იყვნენ. მტერი მიუახლოვდა სათოფე მანძილზე, მაგრამ იერიშით მისვლა მაინც ვეღარ გაბედა; მთელი

სალამო და ღამე ბარიბალის ხელში იყო; იმას შეეძლო თავ განეწყვიტა და მონტანით დაეცვა ეს ალაგი, მაგრამ რადგან იცოდა, რომ იტალიის და შრანსის მთავრობა გაეგრევიდა ამ საქმეში, ამისთვის პოლიტიკური მოსაზრება ამჯობინა სამხედროსას და ღამით პონტე-კოროზოსკენ უკან დაიწია. მტერი თვით მხედავდა, რომ ბარიბალი თავის ჯარით აუჩქარებლად გაბრუნდა უკან, ბრძოლა ოთხი საათი გაგრძელდა. ამ შეტაკებაში დაესწრო მთელი პაპის ჯარი. მოლონტერებმა საქმე-რათ დაიწყეს თავი.

უკანასკნელს დროს ბარიბალისგან გამოცემული პროკლამაცია. მონტანასთან რომ ბრძოლა იყო, იმას შემდეგ გარიბალდიმ 3 ნოემბერს გამოსცა პროკლამაცია ძორებიდგან: „იტალიელებო! იმპერატორის და იტალიის ჯარი შევიდა პაპის მახრში და არ გაგვათავებინა ჩვენი გულის წაღილი, არ დაგვაცალა, რომი გაგვეთავისუფლებინა. ამისთვის ჩვენ განვიზრახეთ განუტევოთ სამხ დრო ასპარეზის დატოვება და დავეყარეთ აპენინზე, მაგრამ რაკი პაპის ჯარს მისცეს იმდენი ღონე, რომ რომის დაფარვა იმისგან საჭირო აღარ იყო, იმან სულ ერთიანათ ჩვენზე გამოილაშქრა. რა გზა გექონდა, უნდა შევებოდით; მაგრამ ვინც კი ცოტადნათ იცოდა ჩვენი მდგომარეობა, ყველა იტყოდა, რომ ჩვენგან გამარჯვება შეუძლებელი იყო. პაპის ჯარს დიდი ზარალი მიეცა და ჩვენც საკმაოთ ეიზარაღით. ახლა იმას უნდა მოუცადოთ, თუ რა რიგათ გადასწყვეტენ რომის საქმესა იტალიისა და შრანსის არმია. მინიცობაა, რომ ეს საქმე, როგორც ხალხსა მსურს, ისე არ გადასწყდეს, მაშინ ხალხი აღმოაჩენს ახალს ძალას, რომ სხვის შეუწყენელათ გაათავოს ეს სასიცოცხლო საქმე.“

ანგლიის გაზეთებშია გამოცხადებული, რომ იტალიის მთავრობამ განიზრახა ბარიბალის მიცემა სამართალში. პროკურორნი მოვიდნენ ანკონაში და პერუზაში მოსალაპარაკებლად. პიემონტის გაზეთი ამბობს, რომ ეს ამბავი მართალია: ხოლო „პიემონტის მოამბემ“ წარმოსთქვა, რომ ბარიბალი 174 მუხლის ძალით დაატყვევესო. ეს მუხლი ამბობს, სამართალში უნდა მიიციესო ყოველი მოქალაქე, რომელიც თავის მოქმედებით სახელმწიფოს იმისთანა მდგომარეობაში ჩააგდებსო, რომ იძულებულს ჰყოფს სხვა სახელმწიფოს ომი გამოუცხადოსო. თუ მართლა ძაბინებმა ამისთანა განკარგულება მიიღო, ესე იგი ბარიბალი შრანსის ჯარით დამარცხებული სამართალში მისცა, ეს საქმე მიუცილებლად კიდევ უფრო გააჯავრებს იტალიის ხალხს და ჩასთესს იმაში სიმძულვარეს შრანსიანზე.

მთი იტალიის გაზეთი გეაჯერებს, რომ რომდენმა იტალიის ქალაქმა პირობა შეჰკრესო, რომ მანამ შრანსია იტალიის რომზე მოსარჩლეთ უდგას, არც ერთმა ზემოხსენებული ქალაქმა არ უნდა იყიდოს შრანსის საქონელი.

ბ ე ლ მ გ რ ა მ მ მ ი,
პეტროზუგში მიღებული.

პარიში, 28 ოკტომბერს (9 ნოემბერს). მონიტორში სწერენ, რომ სამხედრო მინისტრს ჯერ ოფიციალური მოხსენება არ მიუღიათო მონტანთან ომის შესახებ, მაგრამ ეს კი იცისო, რომ ხუთმა შრანსის ჯარის ბატალიონმა მიიღო მონაწილეობა იმ ომში და ჯარის წინამძღოლათ გენერალი პოლესი იყო.

ლონდონი, 29 ოკტომბერს (10 ნოემბერს). პოჩტით მივიდა ამბავი, რომ 18 (30) ოკტომბერს ჩრდილოეთს ამერიკაში ტენასის შტატში საშინელი ქარი ადგა და პლერსკვილი, ბალადი, ბროუნსვილი და სხვა

კიდევ რომელიმე ქალაქები სულ დაუქცევია. ამ უბედურების დროს ძლიერ ბევრი ხალხი დაღუპულა.

პარიზი, 29 ოქტომბერს (10 ნოემბერს). ღვიწმუნის მონიტორის ნომერში დაბეჭდილია ტელეგრაფმა გენერლის შალისგან გამოგზავნილი რომიდგან; იმათი. აწერილია დაწერილებითი ომი მონტანთან. მოლონტერებს პირველათ პაპის ჯარი შეშობია. ის ყოფილა რიცხვით 3,000 კაცი. ამ ჯარს უკან 2,000 შრანციის ჯარი მიჰყოლია, და ბოლოს ამასაც უომნია. შრანცულებს 2 კაცი მოჰკლამათ და 38 დასჭრიათ. პაპის ჯარში 20 მოკვდარა და 123 დაჭრილა. ბარიბალდის მომხრეებთან 600 არის მოკლული და რაც ამას შეეფერება იმდენიც დაჭრილი. ბარიბალდის მომხრეები ძლიერ დალონებულნი არიან. თავიანთს დამარცხებას დალატებას აბრალებენ. შასპოს თაფები, რომლებითაც შრანციის ჯარი იყო შეიარაღებული, ძლიერ გამოდგარან და საკვირველათ უმოქმედნიათ. 28 ნოემბერს საღამოზედ მიტერბო პაპის ჯარს დაუჭერია და მცხოვრებლებს ისინი აღტაცებით მიუღიათ.

თლაც ქართველს არა ჰგვანდნენ, მაგრამ ასეთს სამასში ერთს იპოვიან. თითო ოროლა ასეთი უგვანი საქართველოშიაც იპოვიან, და ეს ჩვენ ნებას არ მოგვცემს ესტყვათ, რომ ქართველები სრულად ლეკებსა ჰგვანანო. თუმცა ესენი ორივე ჩამომავლობენ ძავეკასის რასითგან, მაგრამ ლეკები და ქართველები მაინც და მაინც განირჩევიან.—საზოგადოთ რომ ესტყვათ, ინგილოები ტანათ მალაღნი არიან.

1616 წლამდე ინგილოები ქახეთის მეფეების ქვეშევრდომნი ყოფილან, როგორათაც სხვა ამ მხრის ქართველები. ამ წელიწადს, როგორც ვნახეთ, შაბაზმა ჩამოართვა ქახეთის მეფეს, ალექსანდრე II-ს, და დააყენა სულთნები, რომელთაც მართეს ილისოს სასულთნო, ინგილოები, 1844 წლამდე. ამ წელიწადს დანიელ-ბეგმა, რომელიც ეხლა ცოცხალია, რუსეთს უღალატა და გაიქცა ღალისტანში. ამას შემდეგ რუსეთმა მას სახელი ილისოს უჩასტათ შეუტყალა და მოაწყო თავისი სასამართლოები და აქამდე განაგებს მას. ახლა ილისოს სანაიბოს ეძახიან, მაგრამ უსაფუძვლოთ. სასამართლო და მოსამართლე ძაკში იმყოფებიან და ამისათვის სამართალი მოითხოვს, რომ ილისოს სანაიბო ძაკის სანაიბოთ იწოდებოდეს.

ჩვენ შემოთა ესტყვიან, რომ ინგილოები ზაქათალის მახრადი ცხოვრებენო. ამ გვართ თქმა შეიძლება ეხლა. არ შეიძლება ასე ითქვას მაშინ, როდესაც ინგილოების ტანჯვაზე ვლაპარაკობთ, ამისათვის, რომ იმათთვის უნუგეშო დროს ეს მახრა განიყოფებოდა ორ სამფლობელოდ. მართს ერქვა ილისოს ანუ-ძაკის სასულთნო, მეორეს შარ-ბელაქანი, ბურჯისტანი ანუ მლისენი. ინგილო ცხოვრებდა და ცხოვრებს ორივე სამფლობელოში. ამ სამფლობელოების ბატონების მოპყრობა ინგილოებისათვის სხვა და სხვა გვარი ყოფილა, რისგანაო ამათ მოპყრობაზე ჩვენ ცალკე-კალკე მოველაპარაკებთ მკითხველს.

„შარელებს უფრო კაცური გრძობა ჰქონდათო, ვიდრე ილისოელ ლეკებს; ესენი უფრო კაცურათ ეპყრობოდნენო, ვიდრე ილისოელი ლეკებიო.“ ამბობენ ინგილოები. შარელები ინგილოებს კარგათ ეპყრობოდნენ ამისათვის, რომ ამას მოათვე სარგებლობა ითხოვდა. მათ კარგათ სცოდნიათ, რომ თუ ინგილოს პატიოსნურათ მოეპყრობა, იმათგან ბევრს ხერს ნახავს. ეს სარგებლობა ყოფილა იმის მიზეზიცა, რომ ქარელებს ისინი ილისოს სასულთნოდამ თავიანთ მიწა წყალში მიუწვევიათ ხოლმე დაუსახლებიათ. მრავალს ინგილოს, რომელიც, ილისოს სასულთნოდამ შეწუხებული, შარის მიწაში გადასახლებულა, თავისათვის იმ სოფლას სახელი გვართ დაურქმევია, რომლისაც მცხოვრებელი წინათ ყოფილა. მაგალითებრ, რომელიც სოფლის საკნიდამ აყრილან, იმათ გვართ საკნიელაშვილები უწოდებიათ. მრავალნი არიან ეხლა საკნიელაშვილები სოფელს შორაღანში და ზაგამში. მთელი სოფელი ზაგამი საკნიდამ ანუ ძახილამ არის აყრილი და დასახლებული შარის მიწაში. მართო ეს ფაქტი კარგათ ამტკიცებს, რომ ილისოს სულთანს და მის ქვეშევრდომ ლეკებს უფრო უწუხებიათ ინგილოები, ვიდრე ქარელებს. თუ ეს ასე არ ყოფილიყოს, ხალხი შარის მიწაში არ გაიქცეოდა. ორი ნაწილი ინგილოებისა ეხლა ბურჯისტანში ცხოვრებს, ერთი კი ძაკის სასულთნოში. როგორათაც ძაკის სასულთნოში მცხოვრებ ინგილოებს, აგრეთვე ბურჯისტანში მცხოვრებლებს რომ ჰქვიათ: თქვენ მამაპაპს წინაპირველათ სად უცხოვრიაო, მაშინვე გიპასუხებენ: „ჩვენი მშობელი (დედა) ძაკია, ჩვენ მამაპაპს პირველათ იქ უცხოვრია და მერე აქეთ გადმოსახლებულა, რადგან ქარელებს ინგილოები უსახლებიათ ბურჯისტანში არამც თუ მხოლოდ ამათ თხოვნით, არამედ თვითონაც მიუწვევიათ ესენი,

რომ რა არის მცხოვრებლების უმეტესობამ მათ ხარჯის მძლეველები გაუმრავლეს.“ ინგილოებს რომ შეუტყვიანთ ქარელები მათ თანთან მიწაში დასახლების ნებას აძლევდნენ, მაშინ ყველას იქითვე გაუწყვია, უფრო ამისათვის რომ ისინი ილისოელ ლეკებზე უფრო პატიოსნურათ ეპყრობოდნენ. იშვიათად მოხდებოდა თურმე, რომ ქარელი მოსულყო ინგილოს სახლში და ლანძღვა-კრუე-ლით, როგორც ილისოელი, აეწყა თავისი ხარჯი და წაეღო; მას ჰქონია და აქვს თავისი მამული აღწერილი და იჯარაში ინგილოსათვის მიცემული. ამასთანვე მცხოვრებლებიც ერთმანერთში დაყოფილი აქვთ, რისაგანაო ყოველი ინგილო იცნობს თავის მეძაშულე ბატონს. ინგილო ქარელს მიწის ღალას მიუტანდა, ქარელი მას კარგს ქვიფს აწვეინებდა და აცილებდა. ზნაზე არაღის შეცდოლა მისთვის ხელი ეხლო. მაი იყო იმისთვის, რომელი ქარელიც კი გაბედავდა მის შეწუხებას. თუ ერთი ქარელი მეორე ქარელის კაცს ხელს ახლებდა, მაშინ ბატონებს ერთმანერთში მოუვიდოდათ დიდი შფოთი. მაგრამ ვინ ზარალობდა ამ ჩხუბით? ისეც ინგილო. მათ რომ ჩხუბი მოუვიდოდათ, მაშინ ერთმანერთის მებარჯებს დაეცემოდნენ ხოლმე და იკლებდნენ, და ამით ამართლებდნენ ქართულ ან-აზას: „აქლემები წაიკიდნენო და შუაში კოზაკი გატყლიანესო.“ ამ გვართ იქცეოდნენ საქართველოს ბატონებიცა და ეს ანდაზა სწორეთ მათზე არის შედგენილი ხალხისაგან. ამ შეწუხებისა გამო ეხლა ბევრს ინგილოს უყვინდა ქარელისაგან დედულ—მამული, თავისუფალი გამხდარა და მას მიწისათვის თავს აღარ უკრავს.

მაგონებ მკითხველმა კარგათ იცის, რომ კაცი ყოველთვის თუ აფასებს რასმე, შედარებით აფასებს. სული უბრალო ლაპარაკიც კი არ შეიძლება უამისოთ. ამისთვის ინგილოს მხრითაც ქარელების ქება ილისოელ ლეკებთან შედარებითი ქება არის. მაშ მე ვიტყვი, რომ არც ამათ დაუკლიათ ინგილოებისათვის. „ურიაც და მისი შევილიც ღმერთმან ორივე დასწყევლოსო,“ ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი. მათი დენა და ტანჯვა ზნეობითიც ყოფილა და ფიზიკურიც. ის ინგილოს ყოველთვის რაიათს უწოდებდა, ამისა გამო მასთან არ ჰქონდა არც კავშირი და არც რამე საზოგადო, შეზიზღებით უყურებდა მის კაცურ ღირსებას, რომელსაც კაცზე დამორგუნავე გაეღენა აქვს. შარელის ცდა მუდამ ის ყოფილა, რომ ინგილო კეთილშობილი არ გამხდარ იყო. ბევრჯელ თურმე ინგილოებმა ღალისტანის ლეკებს თავს ზარი დასცეს, მაგრამ, რადგან ზედამხედვეთ ნაჩაღნი-კი აქური კაცი ჰყოლიათ, ამისათვის მათი ვაჟკაცობა მთავრობისათვის უმალავთ, და ის ლეკებისა და მულალებისათვის მიუწერიათ. ამას ისინი ეხლა თვითონვე ამბობენ. მიდრემდე ინგილოები მოინათლებოდნენ არ ყოფილა მაგალითი, რომ ისინი ან მენდალზე ან სხვა რამე ჯილდოზე წარედგინათ, და ესენი მას მოსვლოდეს. ამის გამო მას ძლიერ ეჯავრებოდა და ეჯავრება ლეკი და როდესაც მოვიტოდა დღე მათი აღსასრული-სა, ესე იგი მოასწრებდა სადმე ღალისტანის ყაჩაღებს, მაშინ დაუყოვნებლივ მიეცემოდა თავის სისხლის დუღილს და სცემდა ხმაღს და ხანჯალს დასტას; მაგრამ ესეები ლეკებში სრულებით არ სჩანდა ისიც კი მოხდებოდა თურმე ხანდისხან, რომ ვაჟკაცს ინგილოს შინადანვე უღალატებდნენ პირაქეთნი ლეკები და მოჰკლავდნენ, რომ რა არის ასე ვაჟკაცურათ ის რათ ხოცავს ჩვენ სჯულის კაცებსაო. ბარდა ამისა იმას არაოდეს იქამდე არ მიუშვებდნენ, რომ მთავრობისათვის გამოეცხადებინათ თავისი ვაჟკაცობა. ჭეღვანი მტრათ გაუხდებოდნენ იმ ინგილოს, რომელიც ამას გაბედავდა, რადგან ძლიერ ეთაკი-ლებოდათ და ეთაკილებათ ინგილოების ჩი-

ნოცნიკობა. მაგრამ მალეობა ღმერთს, ეს ნეტარება, მონათელის შემდეგ მსხვერპლად. მონათელის შემდეგ ინგილოებში მსხვერპლად ყურადღება მიაქცია და ჩქარა დაინახა მათი ვაჟკაცობა, და მრავალი წარადგინა და უბოძა ზოგს ჯვარი, ზოგს ყელის მენდალი და ტემლაკი, ზოგს აფიცრობა და ნაიბობა, ზოგიერთს პენსიაც დაუნიშნა—15 თუმნამდე. შარელებს ეს არ მოსწონათ, მაგრამ რას გააწყობენ.

მიდრე ქარელებს პირში ჩაგდებდნენ მათ ბევრი ვერაგობა გაუწყენიათ, მაგრამ ხალხი არ ეციო მათ კარგობას რათ ლაპარაკობს. მაგონებ ესენი ილისოელლებზე კარგები ყოფილან ინგილოებისათვის მხოლოდ იმაში, რომ მათ ილისოელებსათვის თავის მათხოვარებით მათთვის თავი არ უბეზრებიათ. სხვაში მე ამათ კარგობას ვერა ვხედავ. თითო მისვლაზე ესენი თურმე ორმოცამდე მოვიდოდნენ ინგილოს სახლში. ხეთქამდნენ (სიტყვა ინგილოურია: ქართულათ სკამდნენ. ამას ხმარობენ, როდესაც ვისმეს დასცენიან), და მერე მოჰყებოდნენ ქალის, რძლის და დედაკაცების ლანძღვას, რომელ უსენინდისობისათვისაც ინგილოს ბევრი ქარელებისთვისაც კისერი მოუტევევია და ბრულში ჩაუხრია. თუ არა ცხადათ, მალეით მაინც გადმოუვლიათ ცხენიდან და ამით უგიათ პასუხი. მის აქაფეა ცხადათ მას უფრო კარგათ შეეძლო, მაგრამ ლეკის კანონისაგან ეშინოდა. მესისხლეს დასჯის კანონი ის ყოფილა, რომ ვინც კაცს მოჰკლავდა, მას თავი უნდა დაენებებინათ თავის მამულისათვის, და ცოლმეგლითსა-ში წელიწადი უნდა მოშორებოდა თავის ოჯახს. მოვიდოდა მკედრის პატრონი, დაუწვევდა სახლებს, აიკლებდა მამულს და წაივლიდა. მერე თუ სამ წლამდე ვერ მოჰკლავდა თავის მესისხლეს სამუდამოთ ევატივებოდა. მაგრამ ეს კანონი ინგილოებზე ამ გვართ არ მოქმედებდა. ის სამუდამოთ მესისხლე გახდებოდა და ქარელი მას ყოველთვის დაემებდა, რომ ეს ყოველიფერი განსაცდელი მან თავიდან მოიშოროს, მალეითა ჰკლავდა. თუ კი იშოვნინდა მარჯვე დროს, ის არაოდეს არ არიდებდა მის გულს ცხელ ტყვიას. ამით მას მაგიერს უგებდა. შარელი მას უპატიოდ ეპყრობოდა, მას კისერში, ცულ უბრალო საქმისათვის, საბელს და ვაზს უგდებდა და ახრჩობდა, თვალებსა სთხრიდა ინგილო კიდე მას მალეით გულზე ტყვიას აკერებდა. მთავრობამ მათ თავის ნებითი ქცევა შეუკავა, და ინგილომაც ხელი აღო მათ ხოცვაზე. ინგილოს დენა მოისპო, ამისათვის იმანაც მოსპო შურის გება. მხლა ძნელათ იქმნება, რომ ინგილომ კაცი მოკლას. ის არაოდეს ცულ-უბრალოთ კაცს არც აწყენინებს და არც სხვისგან იწყენს. არაოდეს არ შეიძლება, რომ ინგილოებმა ერთმანერთი გალანძლონ. ღალისათვის ესენი მაშინვე ჩხუბს ასტყენ და ერთმანერთს ძლიერ გაბეგვენ და იქმნება ხანჯლებითაც დასჭრან. ამის გამო ისინი ენაზე ძლიერ სიფრთხილით არიან. მაშასადამე ის მეცნიერნი ძლიერ ტყუვიან, რომელიც ამტკიცებენ, რომ ინგილოებისათვის კაცის კვლა ძლიერ ადვილიაო. მხლა ქარელები და ღალისტანელები უფრო ადვილათ ხოცვენ კაცებს. თითქმის ორი წელიწადი არის, რაც მე აქა ვარ, და ამ დროების განმავლობაში კაცის მკვლელობის ამბავი ერთი და ორი არ შემიტყვია. ეს სულ ქარელ ლეკებს და მულალებს მოუხდენიათ, და არა ინგილოებს. სხვა ნაირი ყოფილა ინგილოების დენა და ტანჯვა ილისოელ ლეკების ხელში. ჩემი მტერიც ნუ ჩაეარდებოდა, იტყვის ხოლმე ინგილო, როდესაც მას ჰქვიათ, როგორ გეპყრობოდნენ ისინიო. ის შშირი იყო და კიდევაც შშირიო, ამბობენ მერე, და ამისათვის ყოველიფერი ძალადობა იმათ ხელიდან გამოიდოდა. ამისა გამო ინგილოს, როდესაც ილისოელი ეწვიოდა, რომელიც

ისე თურმე ეწყინებოდა, რადგან იმან იცოდა რომ ის ქვეყანათ არ დაჯდებოდა და მის ჯალბს შეაწუხებდა. მართლაც რას არ მოახდენდნენ თურმე ისინი: ცუდუბრალოთ გალანდღადნენ სახლის პატრონს, რძალს ქალს, და ამას შემდეგ უსეინდისოთ არამს ლუქმას მიირთმევდა. მიღაცა წუწუკი ილისოელი მოვიდოდა, ამბობენ ინგილოები, ჩვენ სახლშია და ინგილოს ქალისაგან მოქსოვილ კარგს ჯეჯიშზე უნდა დაბანებულყო, და ორი დიდროვანი ბალიშები, ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორეს—უნდა სდებოდა, რომ რა არის, თუ დაიღლება ჯდომით, ზედ მიწოლილიყო, თუ ერთი გვერდი ასტიკვა წოლით, მაშინ კიდე მეორე ბალიშს მიპრუნებოდა და გვერდი შეეცვალაო. სახლის პატრონიც ამ დროს თავს უნდა სდგამოდა, რომ ყველაფერი, რასაც მოითხოვდა, სწრაფლ მიეტანა და მას მიეზნებინა. მართს სიტყვით ის მეფის ღირსებით უნდა ყოფილ იყო ინგილოს სახლში. როგორც კი ჩამოხდებოდა ცხენიდან, მაშინვე უბანებდა, რომ ან სადილი ან ვახში მივმზადებინა. ამით კიდე უნდა დაეკლათ ქათმები და მოეზრათ, აქა-ურულათ წაბლიანი და ლობიონი ფლავი გაცეცხებინათ, და კარგის ერბოვერცხის ფლავის სინზე ზედ დადებით უნდა მიერთოთ. ის მიირთმევდა დიდურათ, მეგრე არწყავდა ორ სამ კოდ პურსაც და წვიდოდა. აგრეთვე მიჰქონდათ თურმე შეინდი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, წაბლი კაკალი, თხილი და ყურძენი. ისინი თვითონვე დაუკითხავათ შევიდოდნენ ბაღშია, მიტრიალდ—მოტრიალდებოდნენო, მოკრეფდნენ, რაც სურდათ, და წვიდოდნენო. მართხელ თურმე სულთნის მოსამსახურეთაგანი შევიდა ვენახში და მიადგა ერთს მსხვილს ზღმარტლს და წმინდათ დაჰკრიფა. ინგილოს ეს ძლიერ ეწყინა და იფიქრა გულში: ეს ზღმარტლი ამ ოთხფენამ (ილისოელ ლექს ასე ეძახიან) რაკი ნახა,—აღარ მომიხევენებს, ყოველს წელიწადს მოვა-მოუტლის, და თუ ზედ რამე დაჰხედება მოჰკრეფს და წვილებს; მოდი არც იმას ვახეირებ და არც მე ვახეირებ. ამ განზრახვით ეს ხე გარს შემოეჩეხა და ამისათვის ის გამხმარ იყო მეორე წლისათვის. მისი ფიქრი ასრულდა. ლეკი მეორე წელიწადს ისევ მოვიდა იმისას და მოუარა ზღმარტლს, მაგრამ ხე გამხმარი დახედა, ლეკმა თურმე ჰკითხა: „რათ გამხმარაო“. ინგილოს ლანძღვით უპასუხნია: „მიღაცა წყეული მტერი მოვიდაო, მოკრიფა რაც ზედ ზღმარტლი იყო და ამის გამოჯავრებული პატრონმა გარს შემოსჭრა, და ხე გახმარა. ამ სიტყვებიდან პირ-და-პირ სჩანს ინგილოს გაკრპებული ხასიათი და გამფოთებული გული, რომელიც პირდაპირ ლანძღვას ვერ მიხვდა, ეს კიდევ არაფერი: ინგილოებისათვის უფრო გულსაკლავი ყოფილა ისა, რომ ლეკები მის მამულ დედულს ანადგურებდნენ. ისინი თურმე ხანდის ხან მოივლიდნენ მთელს სოფლის მამულებს გზირით და ნაცელით და რაც ხეხილი მოეწონებოდათ მოგლეჯდნენ და წვიდებდნენ ილისოს; თავის მამულში ჩასარგმელათ. მართს ინგილოს კარგი ჯინშის კაკალი სდგამია თავის მამულში და ლეკებს ამის მოჭრა დაჰპირებინათ სახლის საჭიროებისათვის. ეს ამბავი რომ შეეტყო პატრონს, ისეთი ტირილი აეტეხნა, რომ მისი ცოდვით მთელი ქვეყანა იწოდებოდა, მაგრამ ის კაკალი ხელ გამხმარმა ლეკმა თურმე მაინც მოსჭრა მიჰქონდათ ხეხილები, აგრეთვე სულთნის ბაღის მოსაშენებლათ. მართხელ თურმე დაიძახეს, რომ სულთანს ხუთასი ვაზი მოუთხოვნიაო. ამის გამო მრავალი კაცი გაჯავრებული შევიდა თურმე ტყეში, დაგლიჯეს გარეული კრიკინა ვაზები და მართვეს სულთანს. ეს საქმე თურმე შეუტყეს და ცემისაგან მისუსტებული ცოცხალ

მკედრები გამოიყენეს და რიყზე თურმე გადაყარეს. ამ მაგალითს ჩქარ-ჩქარა იტყვიან ხოლმე ინგილოები, როდესაც ლაპარაკობენ კაცელების სიკრპზე: „სულთანმა ვერ მოაქცივინა კაცელებიო და ეხლა ვის შეუძლიან ისინი მოარჯულოსო.“ ამას ამბობენ თვითონ კაცელებიცა. რადგან ერთის მხრით ინგილო აშენებდა, და ილისოელი ლეკი და სულთანი მეორეს მხრით აოხრებდნენ, ამისათვის ბევრმა ინგილომ თურმე მოსჭრა ძირში ხეხილი და გადისროლა, ხოლო ვისაც სურდა მისი გადარჩენა, ის კიდე თურმე დიდროვან ჯაგებს გარს შემოუწყობდა, რომ არ დაინახოსო, და ამ წე ლებით ზდიდა. როდესაც ცოტა დიდი გაიზდბოდა, მაშინ ისიც ხელს აღარ ახლებდა, მაგრამ პატრონს მის ნაყოფს თვლითაც არ ანახებდა. მართს სიტყვით, ინგილოს თითქმის შრომის მეტი არაფერი რჩებოდა, და ნახევარ მის მონაგარს კი ის ჰყლავდა იმ საფუძველზე, რომ მისი ხმალი, თავიანთ უმეტესობისა გამო, უფრო მჭკრელია. მათ თვალზე თურმე ცრემლი არ გაშრებოდა, როდესაც მოვიდოდა სულადის ასარწყავათ. იმათ მოჰქონდათ ორ ლიტრიანი კასრიო და ეს, მათ აზრით, ერთი ლიტრა იყო, და ამით რწყავდნენ სულთნისათვის სამ თაღარ ნახევარ სულადს. ამითვე რწყავდნენ ილისოელები თავიანთისაცა. მინ აძლევდა ამის ნებას! რასაკვირველია, სულთანი. ილისოელი ლეკი, ვინც გინდ ყოფილიყოს ოღონდ კი მისულ იყოს და ეთქვას სულთნისათვის, რომ პური არა მაქვს, ცოლზელი შიმშილით მეხიცებო, და ერთი ბარათი მომიტეო, —წაივინდენ ინგილოებს გამოგართვაო, მაშინვე დაუყოვნებლივ ის აძლევდა. ის მშვიდი ლეკი კიდე მოდიოდა და რაცა ჰსურდა იმასა შერებოდაო. არავის ხმის ამოღება არ შეეძლო. მინც გაბედავდა რასმე ურიგოს, სულთანი მას იბარებდა, და ან თვალებს თხრიდა, ან თავსა ჰკვეთდა, რომ შენ როგორ გაბედე ჩემი ბრძანების წინაღობდგი ლაპარაკიო. ამისა გამო ესენი თურმე ასე გაკადნიერებულნი იყვნენ, რომ ცხენი თან ჰყოლოდათო, თავის სულადს მანც თვითონ არ წვიდებდნენო, ვიდრე ინგილო ხუთ ექვს ლიტრას კიდევ არ მისცემდა. სულთნის ხარჯის წადება კი ინგილოებს ვალათ სდებოდათ კისერზე.

ითიო სულთანს სამ თაღარ სულადს გარდა კიდევ აძლევდნენ ხარჯათ სამ სტილ აბრეშუმს და თამბაკს. აგრეთვე სულთნისათვის ყოველი ფერი წლის მოსავლიდან, ესე იგი ბალი, ატამი, ყურძენი, კაკალი, ვაშლი და სხვ. უნდა მიერთმეინათ. მაგრამ ამით კიდევ არ თავდება მისი ხარჯი. შოველი კაცი ცალკე ადუღებდა სულთნისათვის ხუთ ჩაფს დღინოს, რომელსაც მეგრე ბოზას ეძახიან, და ასხამდა ქვევრში, და როდესაც მოითხოვდა, მაშინ მიჰქონდა ის. აბრეშუმის და თამბაკის ასაწონათ სულთნის მოხელეები, თავიანთ ნებით ამოარჩევდნენ მურმობის რიყზე ქვას და ამას სტილის მაგივრათ ატარებდნენ. ეს ამათებული სტილი ქართულს ორ სტილს აიწონდა. მართმა ინგილომ ღანიელ ბეგის რუხის ხელმწიფისათვის ლალატობის და ღადესტანში გაქცევის წინა წელიწადს თურმე მეხარჯეს თამბაკითი სამი სტილი ვერ შეუსრულო, და მეორე წელს მოხელე მოსულ იყო და იმ დანარჩენის ერთი სტილის თხოვნა დაეწყო. ინგილომ თურმე სიტყვა გაუკრა, რომ ადენ ხანს დრო თქვენი იყო, ახლა ჩვენი არისო: „წადი, წადი, თორემ არ ვიცი რას გიზამო“. ამ პასუხით ინგილო იმას ანიშნებს, რომ ახლა ღანიელ სულთანი აღარ არისო, ახლა რუხის მთავრობას უჭირავსო მისი სამფლობელო, და მე რაღათ და მოგცემ დანარჩენ ხარჯსაო. წადი, წადი, თორემ მოგკლავო. ამ ერთ ინგილოს სიტყვებიდან პირდაპირ სჩანს მთელი ინგილოების გაღვიძ-

ბა ღანიელ ბეგის გაქცევის შემდეგ. ეს ერთი კაცი, ჩემის აზრით, თავისაგან გაუფებლათ მთელ ხალხის აზრს ამბობს.

კიდევ ყოფილა ერთ გვარი ხარჯი, რომელსაც „არწიე ხარჯი“ რქმევიან. ეს იქიდგან წარმომდგარა, რომ ერთ ვილაცა სულთანს უბრძანებია ილისოელებისათვის არწიის დატყრა, და დაჰპირებია ამ საჩუქარს. მართს გაუფებლათ ასევე საშიშარ კლდეზე, სადაც უბუნდნია, და ის დაუტყრია და მიურთმევიან, და მას თავისი პირობა აუსრულებია. შიშლით აგრეთვე დალაქებისათვის თავიანთი გასამრჯელო. ილისოელი ლეკები თურმე თავს აპარსენებდნენ, და მეგრე ყველი რომ გაუვიდოდათ დალაქებს, იმათ ძახში ინგილოებს უგზავნიდნენ: წადი და ისინი მოგცემენ გასამრჯელოსაო..... ამისთანა უსამართლობაც იქნება! ღალატს თავი ილისოელებმა ატიველებინოს და გასამრჯელო კი ინგილომ აძლიოს?

(შემდეგი იქნება).

სხვა და სხვა ამბავი.

მცხოვრებთა რიცხვი რომის სამფლობელოში. იტალიაში ეხლა იქნება ოცდა ექვს მილიონადის ხალხი. ხალხი სულ იტალიის გარისა ერთის ენითა ლაპარაკობს და ერთი სარწმუნოებისა, ფრანგები (კათოლიკები) არიან. მხოლოდ ცოტათ ურები არიან შიგა და შიგ შეჩუქნი, როგორც ყველგან. ამ იტალიის ხალხს დიდი ხნედან სურს ილი აქვს, რომ ერთი სახელმწიფო შეადგინოს; ამისთვის 1848 წელს დიდი მოძრაობაც იყო, მაგრამ აქამდისინ ჯერ არ გაუთავებია ეს საქმე. 1859 წლის დაწყებაში იტალიაში აი რამდენი სახელმწიფო იყო: 1 სარდინიის ანუ პიემონტის საკაროლო, 2 ლომბარდო—ვენციის საკაროლო (რომელიც ავსტრიას ეჭირა); 3 პარმის სამთავრო (საგერცოგო), 4 მოდენის სამთავრო, 5 ტოსკანის დიდი სამთავრო, 6 პაპის (რომის სამფლობელო, სადაც პაპი ხელმწიფეთ), 7 რესპუბლიკა სანმარინო, 8 ნეაპოლის საკაროლო. 1860 წელს ზოგ ამ სახელმწიფოებიდან შესდგა იტალიის საკაროლო; შარშან ზაფხულს შენეცია შეუერთდა იმასა და ეხლა დარჩა მხოლოდ საკაროლოს გარეთ: 1 აღრინდელ რომის სამფლობელოს ნაწილი ქალაქით რომით, 2 ასტრიის შენარჩუნებული ტიროლის ნაწილი, რომელშიაც იტალიელები არიან და ტრიესტის მახრა, 3 შრანციის მფლობელობაში შესულა 1859 წ. სავოის და ნიცის მახრა და ადრე კუნძული მორსიკა. იტალიის საკაროლოში ეხლა არის 24 მილიონი მცხოვრები, კაროლა არის აღრინდელი სარდინიის კაროლი მიეტორ-მანანელი.

რომის სამფლობელოს უჭირავს ვიწრო მოგარა ნაპირი ზღვის პირისა, შუა იტალიაში. მცხოვრების რიცხვი არის 215 ათას, 573 სული, კომლიობით რომ ვინაგარიშით 42 ათასი 313. ამათში 98 ათას 176 სული კაცია და 93 ათას 436 დედაკაცი. ამას უნდა დაუმატოდ 7 ათას 360 სული ჯარის კაცი, 320 ტუსალი, 4 ათას 650 სული ურია და 457 კაცი არაკათოლიკე. ღანარჩენი 11 ათას 172 სული სასულიერო წოდებისანი არიან და, როგორცა სჩანს, რომის სამფლობელოს მცხოვრებლების დაგვრათ ძალიან მომატებულათა ყოფილა რიცხვი სასულიერო წოდების კაცებისა. შემოსვენებულს რიცხვი არის, 30 კარდინალი (მთავარ ეპისკოპოზი, რომელთაგანაც პაპის სიკვდილს შემდეგ ახალ პაპს არჩვენ), 35 ეპისკოპოზი, 1 ათას 469 მიღვდელი, 828 სემენაროელი. მონასტრებში არიან 2 ათას 832 ბერი და 2 ათას 215 მონაღონი. არის კიდევ 49 კოლეგიებში (სასწავლებლებში), 258 სული კაცი და 1 ათას 642 სული ქალი. ბოლოს საგლახაო და სამოწყალო სახლებში არის 775 კაცი და 1 ათას 88 სული ქალი. 1866 წელიწადზე მცხოვრებელი გამოაღდა 4 ათას 872 რიცხვით; ამავე წელს 1 ათას 615 ჯვარის წერა მომხდარა. ეს მოტანილი ციფრები არის ამოღებული პაპის ოფიციალურის გაზეთიდან.

სხვა გაზეთები ამბობენ რომის სამფლობელოს მცხოვრებთ რიცხვი არის 700 ათასი. ეს სამფლობელო იყოფება ხუთ მახრათ: რომისა, ჩივიტა-ვეკიისა, მიეტროსისა, ველეტრისა და შროზინონისი. რომის

მაზრაში მცხოვრებნი უფრო სხებზე მომატებია არიან; იმათი რიცხვია 327 ათასი სული. შემდეგ—მეტრო-მეტროები ჩივიტა-ვეკიის მაზრაშია, 21 ათასი სული. პაპის სამფლობელოს უჭირავს ადგილი ზომით 11 ათასი კვადრატის ვერსი.

— ანგლიის ცივილიზაცია რა მიზეზით საგამოდ დასასე მადლა. მერაპში საზოგადოთ გავრცელებულია აზრი, ვითომც ანგლიის ცივილიზაციას უბრალო ხალხის განათლებად არა აქვს დამოკიდებულება. შატები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ეს აზრი უსაფუძვლოა. ანგლიაში მდებალი ხალხი რამდენისამე საუკუნეს წინეთ განათლებულდა ყობიითის დამოკიდებულებისაგან, მინამ ბატონ-ყობა დაწარჩენს მერაპში მოსპობდა. ძარგათ დაწყობილს სამსჯავროს დიდხანს ჰქონდა ამ ხალხის გონებაზედ განმანათლებელი ზედმოქმედება; დიდი ხანია მას აქეთ, რაც მდებალი ხალხი და უმაღლესი წოდება ერთნაირათ სახელმწიფო გადასახლს იხვიან, მაშინ როდესაც სხვა მერაპის სახელმწიფოებში ისინი ახლაც არ არიან გასწორებულნი ხარჯის ძლევაში. აგრეთვე დიდი ხანია რაც ანგლიის საზოგადოება ცდილობს უბრალო ხალხის განათლებას. ეს უქანსენელი ცნობა ძვირათ თუ ვინმე იცის და ამ მხრით შესანიშნავია ახლახანს გამოხული წიგნი ანგლიურს ენაზედ: საქრისტიანო სკოლები ანუ განათლების აღწერა ქრისტიანობის დასაწყისიდან ტრიდენტის კრებამდის. ეს წიგნი იმით უფრო არის საინტერესო, რომ იმაში არის მოყვანილ რეკტები, რომელზედაც აქამდის ყურადღებას არ აქცევდნენ. ასე ავტორი გვიჩვენებს, რომ მეცამეტე და მეოთხმეტე საუკუნეებში ანგლიაში უფრო ბევრი სკოლები იყო გავრცელებული უბრალო ხალხს სასწავლებლათ, მინამ ჩვეულებრივ ფიქრობენ. ამ სკოლებში წერა-კითხვის გარდა სხვა საგნებაც ასწავლიდნენ. ჩრდილოეთს ანგლიაში, ღურდამში ძალიან რიგინათ დაწყობილი სკოლები არსებობდნენ ღარიბების სასწავლებლათ არა თუ მართკ იქაურს მონასტრთან, არამედ სხვა და სხვა ეკლესიებთანაც. ღურდამის სკოლები ყვაილიყვანს მდგომარეობაში იყვნენ რეფორმაციის დროდის ე. ი. მეოთხმეტეტე საუკუნემდის; პირველი ცნობა ამ სკოლებზედ მიხაწყვეს 1170 წლადის მრისტეს შობის შემდეგ. ამ ღარიბების სკოლებში ნასწავლნი ზოგჯერ ცელსის ფშაღლეს თანამდებობამდისაც მიხაწყვედნენ. მეოთხმეტე საუკუნეში ნორმანებმა ანგლია დაიპყრეს და თან შემოიტანეს ფრანკულის ენის ხმარება, ასე რომ მაშინ სკოლებშიც ფრანკულის ენაზედ ასწავლიდნენ. როცა მეოთხმეტე საუკუნეში ფრანკულის ენის მაგივრათ ანგლიურს ენაზედ დაიწყეს სწავლება, მაშინ სასოფლო სკოლები უფრო ხალხით შეიქმნენ და იმაში სწავლა თავის სამშობლო ენაზედ, რასაკვირველია, უფრო გაადვილდა. ამ სკოლებში სხვათა შორის ლათინურს ენასაც ასწავლიდნენ და ამგვრათ ძალიან ღარიბის კაცის შეიღებსაც შეეძლოთ ესწავლათ საეკლესიო გლობა და, წირვა-ლოცვის გარდა, ბევრი ლათინური ლოცვებიც. შეიღებულბებში ფრანკულს და კიდევ დიდხანს დარჩა ხმარებაში, ხოლო პირველ დაწყების სკოლებში ანგლიურს ენაზედ სწავლება ძალიან ჩქარა გავრცელდა და ამ ენაზედ დაიწყეს გრამატიკის და ანბანის წერა. ცხადი ცნობა არის იმის დასამტკიცებლათ, რომ სასოფლო სკოლებში გაურჩევლათ დადიოდნენ გლეხების და ძალიან ღარიბი კაცის შეიღები. ძალიან რიხარის II დროს (მეოთხმეტე საუკუნეში) რამდენმე ლორდმა პარლამენტში თხოვნა შეიტანეს, რომ იმან აკრძალოს ყმების და მდებალი წოდების კაცის შეიღების სკოლაში მიღება, განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომელნიც მონასტრებთან იმყოფებოდნენ. მაგრამ 1406 წელს პარლამენტმა ამ თხოვნის წინააღმდეგ ე. ი. მონი გამოცხა: „ყოველს კაცს ანუ ქალს, რაც უნდა წოდების ან უწყების იყოს, სრულნი ნება აქვს მისცეს სასწავლებლათ თავის ვაჟიშვილი ან ქალიშვილი რომელს სკოლაშიც იმას სურს მთელს საკაროლოში.“ ეს ფაქტები ცხადათ ავიხსნიან ბეგის მხარეს ანგლიის ცხოვრებიდან, რომელნიც აქამდის აუხსნელათ გვეჩვენებოდა; ისინი აგრეთვე გვიხსნიან მიზეზს, რომლისგანა ანგლიის ცივილიზაცია ისე ადრე გაიშალა, იმ დროს, როცა დანარჩენი მერაპი მხოლოდ საშუალო საუკუნეების უმეტესობისაგან გამოდიოდა. ანგლია რამდენიმე საუკუნით წინ მოდიოდა დანარჩენს მერაპზედ არა თუ მართკ თავისი საოლიტიკო დაწყებულებით; არამედ თავისი უბრალო ხალხის განათლებითაც.

საგონიროგრაფიო ცნობა.
 დაბეჭდა და ისყიდება მელიქიშვილის დაკამ. სტამბაში **თ. გიორგი ქრისტეის** **თხზულებანი.** ნაწილი II. შასი 1 მანეთი.